844/ყნ 4915
21
ეროვნული ბიბლიოთეკა

გზად მომავლისკენ!

პირველი სექტემბრის პირველი ზარი იმედიანობის პირველი ზარიც ყოფილიყოს!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 154 (956) | ხუთშაბათი, 1 სექტემბერი, 1994 წელი. | ფასი 40000 კუპონი.

ქართველოს რესპუბლიკის
ნისტრთა კაბინეტის
ანცხადება

ქართველოში შექმნილი მძიმე კრიმინოგენული ვითარების გამო, ებთ ამ განცხადებას.

ვანა იმ ზღვარზეა, როცა ნებისმიერი დაყოვნება შეიძლება კა- როფის ტოლფასი გახდეს — დანაშაულთან შეგუებული ცხოვრ- შეუძლებელია! მაფიამ, რეკეტმა, კორუფციამ, ჩვენდა სამწუხარ- და, არც თუ იშვიათად, ჩვენივე ხელშეწყობით ნორმად ქცეულმა კრიმინოგენულმა ანომალიებმა წარმოუდგენლად გაართულეს სა- წიფოს, ქვეყნის ეკონომიკის ცივილიზებული მართვა, მთავარ კოლებელ წინაღობად ექცნენ ახალი, საბაზრო ეკონომიკის გა- ტარებას; გავრცელდა ფარული პრივატიზება, ქვეყნის ბუნებრივი დორების ძარცვა და სხვა ნეგატიური მოვლენები. ჩამოყალიბდა ალიერებული ჩინოვნიკების გარკვეული ფენა, მათ შორის, არიან ისმგებელი პირნი, რომლებიც მონაწილეობენ და, არცთუ იშვი- ს, საქვეო, დანაშაულებრივი ფინანსური და სამეურნეო მაქინაცი- ორგანიზატორებად გვევლინებიან.

ქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი საჯაროდ აც- ებს, რომ იგი ვერ შეეგუება არსებულ ვითარებას, თვითდინებაზე მიუშვებს ქვეყნის დამაქცევარ პროცესს, ვერ გასწირავს ხალხს, მონებს, ვინც გვანდო საკუთარი ბედი და სახელმწიფოს მომავალი. აც დიდხანს ვისარგებლეთ მათი მოთმინებით!

ახელმწიფოს მეთაურის მიერ გამოცხადებულმა ბრძოლამ მაფიასთან კორუფციასთან უნდა იხსნას ქვეყანა!

ითარებთ რა, რომ მაფიამ ხელისუფლების ეშელონშიც შეაღწია, რუფციასთან ბრძოლას სწორედ ჩვენი რიგებიდან ვიწყებთ: ან ს, ან არასოდეს! დაუნდობლად, ძირფესვიანად უნდა ამოვძირკ- საზოგადოების ეს გამხრწნელი სენი ყველა ხელმძღვანელ სტრუ- ურაში, ყველა რგოლში, ყველა დონეზე, სამინისტროებსა და უწ- ებში.

გრამ ეს არ იქნება არც ერთჯერადი აქტი და არც, მით უფრო, მოჩვე- თი კამპანია. ეს იქნება კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლე- ს დაცვის ზეობის პროცესი, რომელიც ბუნებრივად უნდა მოჰყო- და მოჰყვა კიდეც ქაოსის, ანარქიის, დესტრუქციის პერიოდს. გვიდასტურებს ცივილიზებული სამყაროს ისტორია და ჩვენი თარი გამოცდილება.

ნისტრთა კაბინეტმა უკვე შეიმუშავა სამართლებრივი აქტების ექტები, სადაც მკაცრად არის მოწესრიგებული აღმასრულებელი ისუფლების წარმომადგენლების, ყველა თანამდებობის პირის სა- თლებრივი მდგომარეობა, სახელმწიფო სამსახურის უფლების ხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობა.

პეციალური კანონპროექტებია აგრეთვე შემუშავებული კორუფ- ასთან ბრძოლის საკითხებზე.

მედია, სახელმწიფოს მეთაურის საკანონმდებლო ინიციატივის სა- ფუძველზე წარმოდგენილ ამ კანონპროექტებს პარლამენტი თავის პირ- ლსავე სხდომებზე განიხილავს და შეიქმნება კორუფციასთან ბრძო- ს მყარი სამართლებრივი ბაზა.

დგა თვითგანწმენდის დრო. ყველას მიეცემა მონანიებისა და პა- ნსად ცხოვრების საშუალება, კორუფციის პარპაში კი არ დაგვი- ებთ: პიროვნება — საზოგადოებისათვის და საზოგადოება — როვნებისათვის. აი, ამ პრინციპით უნდა ვიმოქმედოთ და ამისათვის ვეწოდებთ იმათაც, ვინც სრულად შეიგნებს შექმნილი ვითარებ- სერიოზულობას.

რუბიკონი გადალახულია, უკან დასახევი გზები — მოჭრილი. ერისა სამშობლოს უზენაესი ინტერესებით ნაკარნახევი უკომპრომისო შეურიგებელი მოქმედება დაწყებულია.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

საქართველოსა და რუმინეთს შორის საქმიანი და მეგობრული კონტაქტების გაღრმავება ორივე მხარისათვის სასარგებლოა

31 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახე- ლმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო რუმინეთის კერძომეწარმეთა კავშირის დელეგაცია, რომელიც საქმიანი ვიზიტით იმყოფება საქართველოში.

სახელმწიფოს მეთაურთან შეხვედრისას განიხილეს ის ძირითადი საკითხი, რომლითაც ორივე მხარეა დაინტერესებული, კერძოდ, სა- ქართველოდან რუმინეთში ციტრუსების, თხილის, დაფნისა და ჩაის პროდუქციის ექსპორტი, საქართველოში ერთობლივი საწარმოების შექმნა ავეჯის წარმოებისათვის, ფართო მოხმარების საფეიქრო ნაწარმის, ტყავის პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია საქართველოში და მეზობელ ქვეყნებში.

რუმინეთის მხარე დაინტერესებულია ფოთს, ბათუმსა და კონსტანცას შორის საზღვაო ტრანსპორტით საქონლის ტვირთბრუნვის ორგანიზაციით. მზადდება ოქმი 1994-95 წლებში ორ ქვეყანას შორის საქონლის ბრუნვის თაობაზე.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ დადებითად შეაფასა განხორციელებული მოსამზადებელი სამუშაო, აღნიშნა, რომ საქართველოსა და რუმინეთს შორის საქმიანი, მეგობრული კონტაქტების გაღრმავება ორივე მხარისათვის სასარგებლოა და ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, შემოთავაზებული პროექტების ხორცშესხმას მაქსიმალურად შეუწყობს ხელს.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო — საქინფორმი.

ბავშვების განათლება საღვთო საქმეა, დღეს სკოლაში სამსახური კი — ფაქტობრივად, თავგანწირვა!

სახელმწიფოს მეთაურის მიმართვა პედაგოგ-მასწავლებლებისადმი

ორი ახალი წელი არსებობს — კალენდარული და სასწავლო.

პედაგოგის ოჯახში გავიზარდე და მახსოვს, პირველ სექტემბერს ისევე მოუთმენლად ველოდით ხოლმე, როგორც კალანდა-ახალ წელს.

მაშინ, განსაკუთრებით ომიანობის დროს, წიგნი, რვეული და საწერ-კალამი ჭირდა (დღესაც ჭირს!) და დაახლოებით ისე, როგორც ნოდარ დუმბაძე აღწერს, გაყინულ საკლასო ოთახში ჩვენ-ჩვენი ზაბლონა მასწავლებლები გვიტარებდნენ გაკვეთილებს. მაშინ ბავშვები ამას არც ვუფიქრდებოდით, დღეის გადასახედიდან კი ეს ნაშიმშილარი და შალებში გამოფუთვნილი ქალები გმირები, უფრო მეტიც — წმინდანები მგონია.

ზუსტად ასეთივე განცდა მაქვს სკოლაში დღეს მოღვაწე, სკოლისა და ბავშვების ულალატო პედაგოგების მიმართ: ისინი გმირები, ჩვენი დროის წმინდანები არიან.

განა სხვა რაა წმინდანობა, თუ არა მაღალი, საღვთო საქმისათვის თავის დადება?!

ბავშვების განათლება საღვთო საქმეა, დღეს სკოლაში სამსახური კი — ფაქტობრივად, თავგანწირვა.

ასეთი ხალხი საზოგადოებამ, სახელმწიფომ, ხელისუფლებამ უნდა დავაფასოთ... და უნდა გავუფრთხილდეთ კიდეც.

ამ მხრივ კი საზოგადოებაც, სახელმწიფოც, ხელისუფლებაც ვალში ვართ თქვენ წინაშე, ჩვენო პედაგოგებო.

მერწმუნეთ, მე ვიცი, მაწუხებს, მტკივა თქვენი სატკივარი...

წლეულს ზოგი რამ მაინც გაკეთდა თქვენი მძიმე მატერიალური ხვედრის შესამსუბუქებლად; მაგრამ ეს მაინც წვეთია ზღვაში. ამ შეღავათებს, ამ დახმარებას, ჩემი აზრით, მატერიალურზე მეტად, მორალური მნიშვნელობა აქვს: ჩნდება იმედი, რომ საზოგადოება, სახელმწიფო მობრუნდა მასწავლებლისაკენ; და თუ საქართველო ფიქრობს მასწავლებელზე, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო არა მარტო არსებობს, არამედ მომავალზეც ზრუნავს, მომავალს აშენებს.

დღეს მასწავლებელს სკოლაში ბავშვის სიყვარული და თავისი მოვალეობის შეგნება აჩერებს...

და კიდევ — იმედი.

ნათქვამია, იმედი უკანასკნელი კვდებაო...

მაგრამ, მე მგონია, რომ იმედი პირველი იბადება კიდეც.

ცხადია, „პირველითგან იყო სიტყვა", მაგრამ ის სიტყვაც ხომ იმედი და სასოება გახლდათ.

უკეთესი ხვალინდელი საქართველოს იმედი შენს ხელთაა, პატივცემულო მასწავლებელო!

ედუარდ შევარდნაძე

სიმონ კილაძის ფოტო.

მერვე სვეტი

დაიწყო დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მეორე ეტაპი

როგორც საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დაიწყო დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მეორე ეტაპი.

30 აგვისტოს, უშუალოდ მინისტრის თაოსნობით, მთელ რესპუბლიკაში განხორციელდა ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება კოდური დასახელებით „ბადე-94".

ოპერაციის შედეგად ჩამორთმეულია 802 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის, 70 ავტომატი, 17 შაშხანა, 29 დამბაჩა, 8 ტყვიამფრქვევი, 1 საზენიტო დანადგარი, 2 ყუმბარმტყორცნი, 1 ნაღმმტყორცნი, 189 სანადირო თოფი, 13 ცივი იარაღი, 69 სხვადასხვა სახის ჭურვი, 14192 ვაზნა, 19 გატაცებული ავტომანქანა. გამოვლენილია, აგრეთვე, ნარკომანიის 62 ფაქტი, მათ შორის, ნარკოტიკულ ნივთიერებათა 8 რეალიზატორი, გახსნილია სისხლის სამართლის 58 დანაშაული. დაკავებულია 51 ძებნილი, გამოვლენილია ეკონომიკური დანაშაულის 107 ფაქტი.

ასეთი სახის ღონისძიებები კვლავაც გაგრძელდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

ლეო ხაზურზანიას დაკრძალვის მოწყობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, შეიქმნა თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის **ლეო იასონის ძე ხაზურზანიას** დამკრძალავი კომისია დავით იაკობიძის (კომისიის თავმჯდომარე), ვლადიმერ პაპავას, ნოდარ პითანავას, იაშა მესხიას, შალვა ობგაიძის, ჯემალ ზამბახიძისა და ვაჟა ფანჯაკიძის შემადგენლობით.

ლ. ი. ხაზურზანია დაიკრძალება სახელმწიფოს ხა-

სკოლები იწყებენ

ინტერვიუ განათლების მინისტრთან თამაზ კვაჭანტირაძესთან

— **პირველ სექტემბერს გილოცავთ, ბატონო თამაზ!**

— მეც გილოცავთ ახალ წელს... ჩვენთვის, განათლების მუშაკთათვის, ნამდვილი ახალი წელი პირველი სექტემბერია... სხვა საქმეა, რამდენად მოსალოცად გვაქვს საქმე ამ ჩვენთვის ახალი წლის კვირაძალს. და მაინც, როგორ მძიმე განწყობილებაზეც არ უნდა ვიყოთ, პირველ სექტემბერს ყოველი ჩვენგანის ვალია სიხარულით გავუხსნათ სკოლის კარი ანუ განათლების კარიბჭე მის უდიდებულესობას — ბავშვს.

— **მაინც, ორიოდ სიტყვით, ზოგადად რა ვითარებაა დღეს განათლების სისტემაში?**

— რომ გითხრათ, დალხინებული-მეთქი, დამიჯერებთ? ვითარება რთულია, ძალზე რთული; საქართველოს განათლების სისტემა ხანგრძლივი დროის მანძილზე კრიზისში იმყოფებოდა და ამ ვითარებიდან დღესაც ვერ დაუღწევია თავი. მიზეზები? მიზეზი ათასია, ობიექტურიცა და, ზოგჯერ, სუბიექტურიც: პოლიტიკური არასტაბილურობა, სამოქალაქო არეულობა, საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის გაუვრცელებლობა მისი ტერიტორიის ერთ ნაწილზე, ეკონომიკური კრიზისი, ხიზანთა და გადაადგილებულთა დიდი მასის წარმოქმნა, ინფლაცია და მრავალი სხვა ობიექტური ფაქტორი უშლის ხელს განათლების სისტემის ნორმალურად ფუნქციონირებას ჩვენში.

პოლიტიკურ-ეკონომიკურმა კატაკლიზმებმა ძალზე სახიფათოდ შეარყია მთელი განათლების სისტემა; განათლებას ათწლეულების მანძილზე მთლიანად სახელმწიფო ინახავდა და მისი გამართულად ფუნქციონირების გარანტიც სახელმწიფო იყო.

(დასასრული მე-2 გვ.).

მადლენ ოლბრაიტი: „ჩემი ჩამოსვლის მიზანია, საკუთარი თვალით ვიხილო რა ხდება საქართველოში სამშვიდობო ძალების მოქმედების მხრივ"

დღეს თბილისში ჩამოსვლის გამო

პროფესია: პედაგოგი.

ადრეული საქმიანობა: საერთაშორისო ურთიერთობათა პროფესორი ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის უცხოელთა სკოლაში, 1982-92 წ. წ. ეროვნული პოლიტიკის ცენტრის პრეზიდენტი, 1989-92 წ. წ. ეროვნული უშიშროების საბჭოს შტატის მუშაკი, 1978-81 წ. წ. ამერიკის შეერთებული შტატების სენატორ ედმუნდ მასკის მთავარი თანაშემწე კანონმდებლობის დარგში, 1976-78 წ. წ.

განათლება: ველსლის კოლეჯის ბაკალავრი, 1959 წ. კოლუმბიის უნივერსიტეტის მაგისტრი, 1968 წ., კოლუმბიის უნივერსიტეტის დოქტორი, 1976 წ.

პირადი ცხოვრება: დაიბადა 1937 წლის 15 მაისს, განქორწინებულია, ჰყავს 3 შვილი.

მადლენ ოლბრაიტს, ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივ წარმომადგენელს გაეროში, აქვს მუშაობის ხანგრძლივი აკადემიური და სამთავრობო გამოცდილება. პრეზიდენტ კლინტონის თქმით, მთავრობაში მას ყველაზე უფრო კრიტიკული პოზიცია უკავია საგარეო პოლიტიკის სფეროში. ოლბრაიტი, რომელსაც აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების სპეციალისტის რეპუტაცია აქვს, არის ჩეხი დიპლომატის ქალიშვილი, რომელმაც თავშესაფარი ჰპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მას შემდეგ, რაც 1948 წელს ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტური ხელისუფლება მოვიდა სახელმწიფოს სათავეში.

ინგლისურის გარდა, იცის ჩეხური, ფრანგული, პოლონური და რუსული ენები. 1983 წელს გამოვიდა მისი წიგნი: „პოლონეთი, პრესის როლი პოლიტიკურ ცვლილებებში". მან ჩამოაყალიბა კორპორაციები ვაშინგტონის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ცენტრში (1981) და ვუდრო უილსონის ვაშინგტონის სამეცნიერო ცენტრში (1981-82 წ.).

ოლბრაიტი გაეროში არის ამერიკის შეერთებული შტატების პირველი მუდმივი წარმომადგენელი, რომელიც უცხოეთშია დაბადებული.

24 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს (უსიას) ინიციატივით, მოეწყო პირდაპირი ტელეხიდი ვაშინგტონსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების დედაქალაქებს შორის. ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა გაეროსა და უშიშროების საბჭოში ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა მადლენ ოლბრაიტმა.

როგორც ცნობილია, ამ დღეებში მადლენ ოლბრაიტი ესტუმრება ჩეხეთს, სლოვაკეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს, სომხეთს, მოლდოვასა და რუსეთს. საქართველოში ყოფნისას იგი შეხვდება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს და სხვა ოფიციალურ პირებს, იმოგზაურებს ზუგდიდის რაიონში და შეისწავლის აფხაზეთში რუსეთის ჯარების სამშვიდობო ოპერაციების მიმდინარეობას. შეგახსენებთ, რომ ეს ოპერაცია გაეროს მეთვალყურეობით მიმდინარეობს. ამიტომ, გასაგებია, რომ ქართველი ჟურნალისტების კითხვები სწორედ აფხაზეთის საკითხს ეხებოდა.

— **ქალბატონო ოლბრაიტ, რა მიზანს ისახავს თქვენი ვიზიტი საქართველოში და თუ აპირებთ კონფლიქტის ზონაში ჩასვლას?**

— ჩემი ჩამოსვლის მიზანია საკუთარი თვალით ვიხილო, რა ხდება საქართველოში სამშვიდობო ძალების მოქმედების მხრივ. ჩემი საგანგებო საქმიანობა ითვალისწინებს გაეროს მხრიდან სამშვიდობო ოპერაციების შესწავლა-დაკვირვებას. ამ მიზნით ვიყავი აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში. საქართველოში მიმდინარე სამშვიდობო აქცია განსხვავებულია. ეს არ არის გაეროს სტანდარტული სამშვიდობო ძალების მოქმედება, რადგან ახორციელებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ძირითადად, რუსი სამხედროები. გაეროში დიდი გულისყურით ვადევნებთ თვალს რუსეთის სამხედრო ნაწილების ურთიერთობას საერთაშორისო მეთვალყურეებთან, რათა ამ უკანასკნელთ ყველა პირობა შეუქმნან, სამშვიდობო მოქმედებების მიმდინარეობის გასაცნობად. ძალზე კმაყოფილი ვართ, რომ საერთაშორისო მეთვალყურეებს სამშვიდობო ძალების მოქმედების ზონაში ყოფნის საშუალება აქვთ.

სწორედ ამ ძალების მოქმედების შესწავლას ვაპირებ საქართველოში ყოფნისას და ამ მიზნით სამშვიდობო ძალების მოქმედების ზონაში ჩავალ, რადგან მიგვაჩნია, რომ სამშვიდობო ოპერაციის მკაცრი კონტროლი შესაძლოა გახდეს ის გზა, რომელიც საქართველოში კონფლიქტის მოგვარებაში დაგვეხმარება.

— **შეუძლია ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც უშიშროების საბჭოს წევრს, დააჩქაროს დევნილთა დაბრუნება?**

— უშიშროების საბჭო ძალზე აღელვებულია დევნილთა დაბრუნების საკითხით. ეს ის პრობლემაა, რომელიც განვიხილეთ ორმხრივი მოლაპარაკების დროს თავმჯდომარე შევარდნაძის გაეროში ყოფნისას. მაშინ მან გამოთქვა თავისი შეშფოთება დევნილთა დაბრუნების პროცესთან დაკავშირებით. რაზეც ვუპასუხეთ, რომ ეს საკითხი ჩვენთვისაც დიდ საზრუნავს წარმოადგენს. ვთქვით, რომ დევნილთა დაბრუნება საქართველოში მშვიდობის აღდგენის უმთავრესი შემადგენელი ნაწილია, რაც უნდა მოხდეს საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის პრინციპის დაცვით. ეს ერთმნიშვნელოვანია როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, ისე გაეროსათვის.

ვცდილობთ, სამშვიდობო ნაწილების მეშვეობით დევნილებს უკან დაბრუნების პირობები შევუქმნათ. პრობლემა ის არის, რომ დაპირისპირებულმა მხარეებმა საკითხის მოლაპარაკების გზით მოგვარება მოისურვოს. ეს მხარეებმა თავად უნდა მოინდომონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც რუსეთი, ვერც რომელიმე სხვა ქვეყანა ვერანაირი მექანიზმით ვერ შესძლებს მხარეების მოლაპარაკების მაგიდასთან მიწვევას.

— **საქართველოში ყოფნისას ედუარდ შევარდნაძეს თუ შეხვდებით?**

— იმედი მაქვს. ასეთი შეხვედრა დაგეგმილია. როგორც იცით, შევარდნაძის სჯერათ ამერიკის შეერთებულ შტატებში. მას იქ ბევრი მეგობარი ჰყავს. უნდა გითხრათ, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო თავად შევარდნაძის გადაწყვეტილება — თუ გაერო ვერ შეძლებდა თავისი სამშვიდობო კონტინგენტის კონფლიქტის ზონაში გაგზავნას, გაეროს ზედამხედველობით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჯარების ამ მიზნით გამოყენება შეიძლება ყოფილიყო კონფლიქტის მოგვარების გზა. მოუთმენლად ველი თავმჯდომარე შევარდნაძესთან შეხვედრას.

— **ხომ არ აპირებთ საქართველოში რუსეთის სამშვიდობო ოპერაციის დაფინანსებას?**

— გაეროს არასდროს შეუქმნია რაიმე ფონდი გარეშე სამშვიდობო ძალების დასაფინანსებლად.

— **რაიმე პრობლემას ხომ არ ხედავთ, რომ აფხაზეთში სამშვიდობო ძალები მხოლოდ რუსეთის სამხედრო ნაწილებით არის დაკომპლექტებული?**

— რა თქმა უნდა, ყველას სურდა, საქართველოში გაეროს სტანდარტული სამშვიდობო ოპერაცია განხორციელებულიყო. მაგრამ, რადგან დაპირისპირებული მხარეები ვერ შეთანხმდნენ, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ბუნებრივია ყველას აფიქრებს, რომ საქართველოში მოქმედი სამშვიდობო ძალები მხოლოდ რუსი სამხედროებით არის დაკომპლექტებული. ამიტომაც ვფრთხილობდით მათთვის გაეროს მანდატის მინიჭებისას, რადგან გვსურდა, გარანტირებული ყოფილიყო კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო მეთვალყურეების ყოფნა. ეს ისეთი მანდატი უნდა ყოფილიყო, რომლის განახლებაც შესაძლებელი იქნებოდა სიტუაციის კონტროლისათვის.

ის ფაქტი, რომ შევარდნაძემ თქვა, შესაძლებელია ეს იყოს არა საუკეთესო, მაგრამ მაინც შანსი კონფლიქტის მოგვარებისთვისო, ჩვენ პრობლემის გადაწყვეტის პრაგმატულ გზად ჩავთვალეთ. იმის გამო, რომ მთელს მსოფლიოში გახშირდა შემთხვევები, როცა საჭიროა სამშვიდობო ოპერაციების გადაუდებელი განხორციელება, დასაშვებია, ასეთი ფუნქცია ერთმა ქვეყანამ იკისროს საერთაშორისო მეთვალყურეობით. ეს ამგვარი კონფლიქტების მოგვარების პრაგმატული გზაა. როგორც ადამიანი, რომელიც დაიბადა პრაღაში და კარგად იცნობს თავისი ქვეყნის ისტორიას, მოხარული ვარ, რომ კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო მეთვალყურეები იმყოფებიან

— **როგორც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი, ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრისას თუ ისაუბრებთ ორი ქვეყნის ურთიერთობის პერსპექტივებზე?**

— შევეცდებით, ვიპოვოთ საქართველოსთვის დახმარების აღმოჩენის გზები და გავაძლიეროთ ურთიერთობა. როგორც გითხარით, თავმჯდომარე შევარდნაძეს ბევრი მეგობარი ჰყავს შეერთებულ შტატებში. პრეზიდენტ კლინტონს გადაწყვეტილი აქვს, საქმის კურსში ჩამაყენოს იმ საუბრის შესახებ, ვაშინგტონში რომ გაიმართა. ასე რომ, მე ვისაუბრებ თავმჯდომარე შევარდნაძესთან რიგ ორმხრივ საკითხებზე, რათა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაძლიერდეს.

მასალა მოამზადა „საქინფორმმა.

ეროვნული

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

სამომხმარებლო კოოპერაციის შემდგომი განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ანტიკრიზისული პროგრამის რეალიზაციის საქმეში სამომხმარებლო კოოპერაციის ეროვნული ალიანსის — „ცეკავშირის" როლის ამაღლების, პოტენციალის უკეთ გამოყენებისა და „საქართველოს რესპუბლიკაში სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 27 დეკემბრის ბრძანებულებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების დაჩქარების მიზნით:

1. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ეროვნული ალიანსის — „ცეკავშირის" გამგეობამ (ნ. ჟღენტი) სოფლად ეკონომიკური რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად უზრუნველყოს „ცეკავშირის" რეალურად მოქმედ, მესაკუთრეთა მასობრივ სტრუქტურად გადაქცევა; ამ მიზნით ოპერატიულად და რაციონალურად განახორციელოს კოოპერაციული საკუთრების მეპაიეებზე განაწილება-დამკვიდრების ღონისძიებები, გაითვალისწინოს, რომ ქონების განაწილება უნდა მოხდეს მეპაიეთა ინტერესების, სოციალური გარანტიების, საწესდებო მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვით, სამომხმარებლო კოოპერაციის ერთიანობისა და მთლიანობის შენარჩუნებით. მეპაიეებზე საკუთრების განაწილება-დამკვიდრების სამუშაოები დასრულდეს 1994 წლის ბოლომდე.

2. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, ქალაქებისა და რაიონების მერიებმა და გამგეობებმა მუდმივი დახმარება გაუწიონ „ცეკავშირს", მომხმარებელთა საზოგადოებებს და მათ კავშირებს, კოოპორგანიზაციებსა და საწარმოებს სასოფლო-სამეურნეო, დამზადების, ვაჭრობის, საწარმოო და სოციალური საქმიანობის გაფართოებაში; სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით განიხილონ, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა (ო. ფაცაცია):

— განიხილოს და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად გადაწყვიტოს სხვადასხვა დროს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემიდან „ცეკავშირის" სახსრებით შექმნილი სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემული იმ ქონების უკან დაბრუნების საკითხი, რომელიც ამჟამად პრივატიზაციას ექვემდებარება;

— განიხილოს საკოლმეურნეო ბაზრების, როგორც საბაზრო ურთიერთობების დამახასიათებელი არასახელმწიფოებრივი სტრუქტურის, სამომხმარებლო კოოპერაციისათვის დაბრუნების შესაძლებლობის საკითხი ფლობისა და სარგებლობის უფლებით.

4. „ცეკავშირის" გამგეობამ ქალაქების თბილისისა და ქუთაისის მერიებთან ერთად ორი თვის ვადაში შეიმუშაოს ბაზრების ფუნქციონირების გაუმჯობესების ღონისძიებები.

5. დაევალოთ მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს „ცეკავშირის" სახსრებით აშენებული საცხოვრებელი სახლების (კორპუსების) პირველ სართულებზე არსებული არასაცხოვრებელი ფართი, მისი დღევანდელი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად დაუბრუნონ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს სავაჭრო და სხვა სოციალური დანიშნულების ობიექტების მოსაწყობად.

6. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ (ა. სილაგაძე) არ დაუშვას სახელმწიფო, კომუნალური და მუნიციპალური სახლების იმ ფართის პრივატიზაცია ან სხვისთვის იჯარით გადაცემა, სადაც განთავსებულია სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო, კვების, მრეწველობის, დამზადება-შესყიდვისა და სხვა ობიექტები. უკიდურეს შემთხვევაში, შესყიდოს ისინი სამომხმარებლო კოოპერაციას.

7. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ (მ. გეგეჭკორი) იმ მიწების გადასახადის შესახებ კანონპროექტის მომზადებისას, რომლებზეც განლაგებული არიან სამრეწველო და სხვა ობიექტები, გაითვალისწინოს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების გადასახადისაგან გათავისუფლება საწარმოო პროცესების ათვისების პერიოდში დიდი-დიდი 2 წლით.

8. დაწესდეს, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში შემოწმებების შეუზღუდავად ჩატარების უფლება თავისი კომპეტენციის ფარგლებში აქვს მხოლოდ საგადასახადო ინსპექციას. სხვა მაკონტროლებელი ორგანოები გადაწყვეტილებას შემოწმებების თაობაზე იღებენ „ცეკავშირის" გამგეობის თავმჯდომარესთან, შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების მერებთან და გამგებლებთან შეთანხმების შემდეგ.

9. ამ განკარგულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს ავთანდილ მარგიანს.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი აცხადებს საკონკურსო ნამუშევრების მიღებას ამა წლის პირველი სექტემბრიდან 1994 წლის **საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად.**

საკონკურსო მასალებისა და დოკუმენტაციის მიღების უკანასკნელი ვადაა ამა წლის 1 ოქტომბერი.

საკონკურსოდ მიიღება მხოლოდ ორი უკანასკნელი წლის მანძილზე, 1992 წლის 1 სექტემბრიდან 1994 წლის 1 ოქტომბრამდე სრული სახით გამოქვეყნებული (ნაჩვენები, დადგმული, აგებული, გამოფენილი) ნაწარმოებნი. უფრო ადრე გამოქვეყნებულ ნამუშევრებს კომიტეტი არ განიხილავს.

პრემიების მოსაპოვებლად ნაწარმოებთა წარდგენის უფლება აქვთ: შემოქმედებითი კავშირების გამგეობებს თუ პრეზიდიუმებს, სამინისტროთა და დეპარტამენტთა კოლეგიებს, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმსა და მისი ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოებს, ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს, გამომცემლობათა სამხატვრო საბჭოებს, უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო საბჭოებს და კათედრებს, წარმოება-დაწესებულებათა კოლექტივებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს — ნაწარმოებთა მკაცრი, მიუდგომელი, ყოველმხრივი განხილვის შემდეგ.

კომიტეტი სთხოვს საზოგადოებას, პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ კანდიდატურების შერჩევას, საკონკურსოდ წარმოვადგინოთ ლიტერატურის, ხელოვნების, არქიტექტურისა და პუბლიცისტიკის ის ნაწარმოებნი, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვეს და თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში.

ნაწარმოებთა კომიტეტში საკონკურსოდ წარსადგენად საჭიროა შემდეგი საბუთები და მასალები:

1. წარდგინება — ნაწარმოების ყოველმხრივი წერილობითი დახასიათება, რეცენზია, რომელსაც პრემიის მოსაპოვებლად ნაწარმოების წარმომდგენი ორგანიზაციის სახელით ხელს აწერს მისი ხელმძღვანელი.
2. ორგანიზაციის პრეზიდიუმის, კოლეგიის, სამხატვრო საბჭოს თუ საერთო კრების ოქმის ამონაწერი სიტყვით გამოსულთა დასახელებით, გამოთქმულ მოსაზრებათა ფიქსირებით.
3. ნაწარმოების შესახებ პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები, რადიო-ტელევიზიის გამოხმაურებანი.
4. სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში ნამუშევრების წარდგენისას — საჭირო ფოტომასალა და რეპროდუქციები.
5. ცნობა ნაწარმოებთა პირველი პუბლიკაციის შესახებ.
6. ავტორის შემოქმედებითი ბიოგრაფია.
7. კადრების აღრიცხვის ფურცელი.
8. ავტორის ორი სხვადასხვა ფორმატის ფოტოსურათი სამსამ ეგზემპლარად (6X9 სმ. და 3X4 სმ.).

დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მოგვმართოთ: მისამართი: თბილისი, მაჩაბლის 13, მწერალთა კავშირის შენობა, III სართული, ტელ.: 99-06-36.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

საქართველოს რესპუბლიკაში უკრაინის საელჩო გთხოვთ თქვენს გაზეთში გამოაქვეყნოთ ჩვენი შემდეგი შინაარსის მიმართვა:

„საქართველოს რესპუბლიკაში უკრაინის საელჩო გულითად მადლობას უხდის სახელმწიფო ორგანოებს, პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საწარმოო კოლექტივებსა და მეწარმეთა სტრუქტურებს, საქართველოს მოქალაქეებს, ვინც მოგვილოცა უკრაინის ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის დღე".

ა. ი. კასიანენკო,

საქართველოს რესპუბლიკაში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

ჟენევაში დაიწყო ქართულ-აფხაზური მოლაპარაკება

ჟენევა, 31 აგვისტო. (იტარ-ტას-საქინფორმი). აფხაზეთში სიტუაციის მოწესრიგების პოლიტიკური ასპექტები ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების დღეს აქ დაწყებული მორიგი რაუნდის მთავარი თემაა. შეხვედრა ეწყობა გაეროს ეგიდით, რუსეთის ხელშეწყობითა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილეობით.

სესიის გახსნისას, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ედუარდ ბრუნერმა არ დამალა, რომ აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნებასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები მნიშვნელოვნად ართულებს მოწესრიგებას. მან გამოთქვა იმედი, რომ დაბრკოლებათა გადალახვას, რომლებიც წარმოიშვა სოჭში კონსულტაციების დროს, მოვახერხებთ ახლანდელი რაუნდის დროს. ლტოლვილთა საკითხს განიხილავენ ჟენევაში პოლიტიკურ პრობლემებთან ერთად. გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს წარმომადგენელთა მოლაპარაკებაში მონაწილეობამ უნდა გააადვილოს თანხმობის გზების ძიება.

ბრუნერის შემდეგ გამოსულმა რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩმა გენადი ფედლისოვმა აგრეთვე მიაპყრო ყურადღება აფხაზეთში იმ ადამიანთა დაბრუნებასთან დაკავშირებულ სიძნელეებს, რომლებმაც კონფლიქტის შედეგად დატოვეს თავიანთი სახლები. ლტოლვილთა პრობლემის გადაჭრა, აღნიშნა მან, გზას გაუკაფავდა მეტ ურთიერთგაგებას პოლიტიკური მიმართულებით.

წინა რაუნდი პოლიტიკურ და კონსტიტუციურ საკითხებზე მიმდინარეობდა 7-8 ივლისს სოჭში. აფხაზეთის მომავალი სტატუსის პრობლემა ჯერ საბოლოოდ არ გადაჭრილა. ქართული მხარე დაჟინებით მოითხოვს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებულ საზღვრებში და ამასთანავე აცხადებს, რომ მზად არის მიანიჭოს აფხაზეთს ფართო ავტონომია. აფხაზური მხარე კი მოითხოვს ხელშეკრულების დადებას აფხაზეთსა და საქართველოს, როგორც თანასწორუფლებიან სუბიექტებს შორის. თუმცა, პოზიციებში არის საერთო რამ, უთანხმოებანი და ერთმანეთისადმი უნდობლობა, რომლებიც გააძლიერა მრავალი თვის კონფლიქტმა, ართულებს კომპრომისის მიღწევას.

ქართველთა დელეგაციას სათავეში უდგას ადამიანის უფლებათა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე სანდრო კავსაძე, აფხაზთა დელეგაციას — აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სოკრატ ჯინჯოლია.

დევნილები ამერიკელ სტუმარს ელოდებიან

აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი იუწყება, რომ ზუგდიდის რაიონში მყოფი აფხაზეთიდან დევნილები ელოდებიან გაეროში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ქალბატონ მადლენ ოლბრაიტის ჩამოსვლას კონფლიქტის ზონაში. დევნილთა აზრით, გაერომ და შეერთებულმა შტატებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა პრაქტიკულად განხორციელდეს გაეროს და მისი მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილებები ლტოლვილთა მშობლიურ კერებში უსაფრთხო დაბრუნებისა და ცხოვრების შესახებ.

ამუშავდა ენგურჰესის მესამე აგრეგატი

აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრმა საქინფორმს აცნობა, ენგურჰესის მიწისქვეშა სადგურში მესამე აგრეგატიც ამუშავდა. აფხაზურ მხარესთან მიღწეული შეთანხმების შესაბამისად მოხსნილია შეზღუდვები ელექტროენერგიის გამომუშავებაზე. არსებობს შესაძლებლობა აწარმოონ ელექტროენერგია 400-500 მეგავატის ფარგლებში. მეოთხე აგრეგატის რემონტიც ფაქტობრივად დასრულდა, უახლოეს ხანში ზოგიერთი ტექნიკური საკითხის გადაწყვეტის შემდეგ ეს აგრეგატიც ამუშავდება.

სამუშაოები განახორციელეს „საქენერგოს" სპეციალისტებმა. ზემოაღნიშნული საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, ენგურჰესის მოსამსახურე პერსონალის ურთიერთობა აფხაზურ მხარესთან დღეისათვის შედარებით ნორმალურია. ამას იუწყება საქინფორმი.

სახელმწიფო მინისტრის, დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარის

განცხადება

1994 წლის 22 აგვისტოს, ორშაბათს, რადიოინტერვიუში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ საზოგადოებისა და სამართლებრივი ორგანოების წინაშე დააყენა რეკეტისა და მაფიური ჯგუფების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის დაწყების აუცილებლობის საკითხი. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია გაკეთდეს შემდეგი განცხადება:

მართალია, მეტად რთულად, მაგრამ ქვეყანა ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს სტაბილიზაციისაკენ. მტკიცდება დისციპლინა და წესრიგი, დადებითი ძვრები ისახება ეკონომიკის განვითარებაში, ადამიანებს ეძლევათ ცხოვრებისა და მუშაობის შესაძლებლობა, შეიარაღებული ჯგუფები და ბანდები ახლა ისე თავისუფლად ვეღარ დათარეშობენ. მაგრამ იდეალური მდგომარეობისაგან მაინც შორსა ვართ, კრიმინოგენული ვითარება ზონაში კვლავ სერიოზული შეშფოთების საფუძველს იძლევა. გამოჩნდნენ ძალები, რომლებიც ცდილობენ მუდმივ შიშსა და დაძაბულობაში იყოლიონ მოსახლეობა. საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედებისა და თავისუფალი ბიზნესის განვითარების საშუალებას არ იძლევიან სხვადასხვა მაფიური კლანები, სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს ნარკომანია.

საგანგებო სიტუაციების ზონის დროებით კომიტეტს მიაჩნია, რომ ამ მხრივ მეტ-ნაკლებად დაზიანებულია რესპუბლიკის და, კერძოდ, ჩვენი რეგიონის ყველა რაიონი და ქალაქი. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ სახელმწიფოს მეთაურმა სპეციალური განკარგულებაც კი გამოსცა კრიმინოგენული ვითარების გაჯანსაღების მიზნით საგანგებო სიტუაციების ზონაში შემავალი ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონებისათვის დახმარების გაწევის შესახებ.

დროებითი კომიტეტი ერთსულოვნად უჭერს მხარს სახელმწიფოს მეთაურის რადიოინტერვიუში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს და საჭიროდ მიიჩნევს ერთიანი ფრონტის შექმნას რეკეტისა და მაფიური ჯგუფების წინააღმდეგ, საზოგადოებრივი აზრისა და სამართალდამცველი ორგანოების ძალისხმევის ისეთნაირად ფორმირებას, რომ ქვეყნის თითოეულ კუთხეში მაფიას დასაყრდენი საფუძველი გამოეცალოს.

აქედან გამომდინარე, ზონის გამგეობებისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებისაგან მოვითხოვთ შეიმუშაონ სპეციალური კონკრეტული ღონისძიებანი ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, ნარკომანიის, რეკეტისა და მაფიური კლანების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ორგანიზაციისათვის და თანმიმდევრულად განახორციელონ ისინი. უნდა დავიხსომოთ, რომ წარმატება ამ ბრძოლაში მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ გაერთიანდება საზოგადოებრივი აზრი და ძალისმიერი სტრუქტურების ძალისხმევა. საამისოდ მზადყოფნა ხაზგასმით გამოიკვეთა სამტრედიის, ხონის, სენაკის, აბაშის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, გურიის რეგიონისა და სხვა რაიონების აქტივთან შეხვედრებზე, რომელთა მონაწილეებმა მიიჩნიეს, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებას უშუალო მიზეზობრივი კავშირი აქვს ეკონომიკის აღორძინებასა და კერძო ბიზნესის განვითარებასთან. შეიძლება ითქვას, რომ მასთან შეურიგებელი ბრძოლის დაწყება უკვე მთელი საზოგადოებრიობის მოთხოვნა გახდა.

ცნობილი მიზეზების გამო ზონის მოსახლეობისა და დამნაშავე ელემენტების ხელში ჯერ კიდევ დიდძალი უკანონო იარაღია, მათ ჩამოსართმევად მუშაობა კი საკმარისი პრინციპულობით არ ხორციელდება. საჭიროა გავამკაცროთ მოთხოვნები ამ მიმართულებით. ყველამ უნდა გაითავისოს, რომ დამნაშავეს არავითარი დანდობა არ ექნება. მათ მხრივ რაიმე წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში არ უნდა მოვერიდოთ უმკაცრეს ზომებს, ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაუშვებელია ადამიანის უფლებათა რაიმე დარღვევა.

დისციპლინა და წესრიგი დღეს ჩვენი უმთავრესი იარაღია ეკონომიკის აღორძინებისათვის მუშაობაში. მაშ, გავერთიანდეთ და ერთიანი ძალისხმევა მოვახმაროთ ამ დიდი მიზნის ხორცშესხმას, ქვეყნის გადარჩენის კეთილშობილურ საქმეს.

გივი ლომინაძე,

სახელმწიფო მინისტრი, დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე.

1994 წლის 30 აგვისტო.

შეხვედრა ფრაქცია „რესპუბლიკელებთან"

31 აგვისტოს გაიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა საპარლამენტო ფრაქცია „რესპუბლიკელებთან". შეხვედრაზე სახელმწიფოს მეთაურმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც რუსეთის მხარემ იკისრა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვასა და ლტოლვილთა დაბრუნებასთან დაკავშირებით. მოისმინეს თავდაცვის მინისტრის ვარდიკო ნადიბაიძის ინფორმაცია აფხაზეთში სამშვიდობო მისიის მიმდინარეობის შესახებ.

ედუარდ შევარდნაძემ ყურადღება მიაპყრო სახელმწიფო აღმშენებლობის გლობალურ პრობლემებს. კერძოდ, შეეხო ხელისუფლების გადანაწილების, ეკონომიკური, საფინანსო და საკადრო პოლიტიკის საკითხებს, ამომწურავად მიმოიხილა რესპუბლიკაში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება. მიუთითა, რომ ის უფლებამოსილება, რომელიც მას კანონით აქვს მინიჭებული, ამ ეტაპზე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების დაჩქარებას — ფასების მოსალოდნელი ლიბერალიზაცია არაპოპულარული ნაბიჯია, რაც გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა, შესაძლოა, ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით გამოიყენონ, მაგრამ დღეს სხვა ალტერნატივა არ არსებობს, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ფრაქცია „რესპუბლიკელების" წარმომადგენლებმა შენიშნეს, რომ ზოგიერთ საკითხში არ ეთანხმებიან სახელმწიფოს მეთაურის კურსს, თუმცა ხელს არ უ ან მას. პარლამენტარებმა შ თება გამოთქვეს მინის კაბინეტში დიამეტრულად ვავებულ პოზიციათა არსე გამო, რაც ვერ იძლევა ეკონომიკური კრიზისიდან ყვანის საშუალებას. ფრა წევრებმა ისაუბრეს მასო ინფორმაციის საშუალებათა შაობაზე და სხვა პრობლ საკითხებზე.

შეხვედრა კონსტრუქციულ თარებაში მიმდინარეობდა.

საკოორდინაციო საგანგებო კომისიის სხდომა

30 აგვისტოს გაიმართა საკოორდინაციო საგანგებო კომისიის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

კანონპროექტების — კორუფციასთან ბრძოლის შესახებ, საიდუმლო სამსახურის შესახებ, სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ ინფორმაცია გააკეთა იუსტიციის მინისტრმა თედო ნინიძემ. ამ კანონპროექტებს სახელმწიფოს მეთაური საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარადგენს პარლამენტში განსახილველად.

სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც. კერძოდ, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების დაშლის თაობაზე სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობა; თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებსა და უშიშროების სამსახურში ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების ინვენტარიზაციის მიმდინარეობა; რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მიერ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის ფუნქციების განხორციელების საკითხი. მოისმინეს საქართველოს რესპუბლიკაში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს უფროსის გიორგი ალექსიძის ინფორმაცია და მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ. განიხილეს ნავთობის ჰაბურღილებისა და ნავთობსადენების დაცვის საკითხებზე სახელმწიფოს მეთაურის მიერ მიღებული განკარგულების შესრულების მიმდინარეობა.

მოხსენება გააკეთა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გელა ლანჩავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ" რესპუბლიკის კანონის ძალაში შესვლის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებით განხორციელდა ფართომასშტაბიანი პროფილაქტიკური ღონისძიებები კახეთის რეგიონსა და გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე მოსახლეობაში არსებული უკანონო ნავთობსახდელების ჩამორთმევისა და განადგურების მიზნით. ასევე იმ პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, რომლებსაც აღმოაჩნდებოდათ სხვადასხვა გზით დატაცებული ნედლი ნავთობის მასა.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ადგილზე განადგურდა 188 ნავთობსახდელი, აღძრულია 21 სისხლის სამართლის საქმე, დაკავებულია 7 პირი, ჩამორთმეულია და სახელმწიფოს ჩაბარდა დაახლოებით 100 ტონამდე ჯართი.

ნავთობის შემდგომი დატაცების თავიდან ასაცილებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოინსპექციის სამმართველოს პირადი შემადგენლობა სადღეღამისო კონტროლს უწევს გზებს. ამას გარდა, ორი შვეულმფრენი ახდენს ყოველდღიურ პატრულირებას მთელი რეგიონის ტერიტორიაზე, რათა გამოავლინონ ტყის მასივებსა და ძნელადმისადგომ ადგილებში გადამალული ნავთობსახდელები.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ნავთობის ყოველდღიური მოპოვება ამჟამად 200-220 ტონას შეადგენს, რაც გენერატორის ამოქმედების შემთხვევაში, ალბათ, 300-350 ტონამდე გაიზრდება.

შექმნილ ვითარებაზე ისაუბრა დეპარტამენტ „საქნავთობის" თავმჯდომარემ რევაზ თევზაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ამჟამად დასავლეთ საქართველოში მუშაობა დაიწყეს ინგლისელმა სპეციალისტებმა, აღმოსავლეთში კი — ავსტრალიელებმა და, თუ არ იქნება უსაფრთხოების გარანტიები, სამუშაოები შეიძლება შეფერხდეს. მაგრამ, თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, მაშინ საქართველო 2-3 წელიწადში შესძლებს ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოს საკუთარი მოთხოვნილება.

შესამუშავებელია კანონმდებლობაც, რომელიც უცხოელ ინვესტორებს გაათავისუფლებს შემოტანილ დანადგარებზე გადასახადისაგან.

ამავე საკითხზე ისაუბრეს საგარეჯოს, გარდაბნის, დედოფლის წყაროს, ახმეტის რაიონების მგებლებმა, კახეთის რეგი რწმუნებულმა ლევან თედი ლმა. მათ აღნიშნეს, რომ ხაროდ, ჯერ კიდევ მოსაგ ბელია ნავთობსახდელები ის. ანაზღაურების ფორმ ეკოლოგიის საკითხები. უნდა გვარდეს აგრეთვე მოპოვებ ნავთობის 10 პროცენტის რაი ის კუთვნილებაში დატოვე საკითხიც.

სხდომის მუშაობა შეაჯამა ხელმწიფოს მეთაურმა ედ შევარდნაძემ. მან აღნიშნა, პირველი ნაბიჯები ნავთობის ბურღილებისა და ნავთობსადე ბის დაცვის საკითხებთან შირებით უკვე გადაიდგა, მაგ ეს არ არის საკმარისი, უნდა ხდეს უკანონო ნავთობსახდე ბის სრული ლიკვიდაცია.

აღინიშნა, რომ, თუ ამ სფე ოში არ დამყარდა წესრიგი, ხოლო ინვესტორები უარს ვიან ჩვენთან თანამშრომლობ გარანტირებული უნდა იყოს თი დაცვის საკითხიც. მაგ ვინც დაცვაზე აგებს პასუხს, თაც უნდა ჰქონდეთ სტიმულ პერსონალური პასუხისმგებ ობა ამ საკითხის მოგვარებ შინაგან საქმეთა ორგანოებს გამგებლებს დაევალათ, თვის ვადაში ისინი საკოორ ნაციო საგანგებო კომისიის სხ მაზე კვლავ წარმოადგენენ გ ული მუშაობის ანგარიშს.

სახელმწიფოს მეთაურის სსამდივნო — საქინფორმ

სკოლები იწყებენ

(დასასრული)

მოიშალა სახელმწიფო — მოშლა დაიწყო განათლების სისტემამაც.

მიუხედავად ამისა, ერთი შეხედვით კანონიერი მოთხოვნა — დაგვილაგეთ სახელმწიფო და მერე დაელაგდებით ჩვენცო — ჩვენთვის, განათლების სფეროს მესვეურთათვის, მაინც მიუღებელია; მეტიც, ეს არ იქნებოდა პატიოსანი პოზიცია, ვინაიდან სახელმწიფოს დალაგება-აღმშენებლობა სწორედ მისი ცალკეული, მატერიალური თუ სულიერი, სფეროს დალაგება-აღმშენებლობით უნდა დავიწყოთ.

და მაინც, განათლების დარგი უშუალოდ, უფრო მეტიც — სასიცოცხლოდ არის დამოკიდებული სხვა დარგებზე — კერძოდ, ეკონომიკაზე, ფინანსებზე, წარმოებაზე.

ცხადია, სწავლების პროცესის უმთავრეს სუბიექტებად ყოველთვის იყვნენ და დღესაც რჩებიან ცოცხალი ადამიანები, რჩებიან ორნი — მოსწავლე და მასწავლებელი, მაგრამ მათ შორის სადღეისო, ცივილიზებული კონტაქტი ვერ დამყარდება სათანადო სასწავლო გარემოს შეუქმნელად.

უახლეს კომპიუტერულ აღჭურვილობაზე, თვალსაჩინოებასა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე არაფერს ვიტყვი — სწავლისათვის აუცილებელი მინიმუმი— შენობა, სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, საწერ-კალამი ხომ მაინც უნდა გვქონდეს! პედაგოგს შიმშილისაგან სასწავლო ოთახში გული არ უნდა მისდიოდეს და მოსწავლე კლასში სიცივისაგან არ უნდა ითოშებოდეს.

ჩვენს ბევრ სკოლასა თუ აუდიტორიაში კი სწორედ ასეთი ტრაგიკული ვითარება გვაქვს. შარშან, ყოველ შემთხვევაში, ასე იყო და, თუ რადიკალურ ღონისძიებებს არ მივმართეთ, ასე იქნება წელსაც...

— ჩვენც ეს გვაინტერესებს, რა ღონისძიებას მიმართავს განათლების სამინისტრო ამ, თქვენი თქმისა არ იყოს, ტრაგიკული ვითარების განსამუხტავად? როგორ მოამზადა თქვენდამი რწმუნებულმა სამინისტრომ სკოლების შენობები საპირველსექტემბროდ? ჩაატარეთ თუ არა ყველგან სათანადო სარემონტო სამუშაოები, დაბეჭდეთ თუ არა სახელმძღვანელოები, მოამარაგეთ თუ არა სკოლა ინვენტარით, თვალსაჩინოებით?

— მაპატიეთ, მაგრამ თქვენც, ჟურნალისტებს, მეტი რომ არა ვთქვათ, მართებული წარმოდგენა არა გაქვთ, ვის რა ევალება, სკოლას გაუკეთოს. მორალურად, ცხადია, ჩვენი სამინისტრო ყველაფერზეა პასუხისმგებელი, რაც სკოლას ეხება, მაგრამ კომპეტენციები მაინც უნდა გაიმიჯნოს; კერძოდ, განათლების სამინისტროს კომპეტენციაში — და ეს ყველას გასაგონად უნდა ითქვას — არ შემოდის არც სკოლის აშენება-გარემონტება, არც სასწავლო ინვენტარის დამზადება, არც სახელმძღვანელოების ბეჭდვა, არც მასწავლებელთა ტრანსპორტირება, არც ისეთი ხელფასის დანიშვნა პედაგოგთათვის, რომელიც საარსებო მინიმუმით მაინც უზრუნველყოფდა მათ!

ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ამ თვალსაზრისით ზემდგომსა თუ თანამდგომ ინსტანციებს — მინისტრთა კაბინეტს, ეკონომიკის, ფინანსთა სამინისტროებს, წიგნის ბეჭდვისა და პოლიგრაფიის კორპორაციას, სატრანსპორტო უწყებებს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს — აი, ამათ და მრავალ სხვას — ვთხოვოთ, ვემუდაროთ, ვუმტკიცოთ, წარვუდგინოთ პროექტები, გეგმები და შემდგომ ამ საქმეს ვდიოთ, ბოლომდე მივყვეთ. შედეგიანად თუ უშედეგოდ — ეს კიდევ სხვა საკითხია.

და — ვადგენთ კიდეც გეგმებს, პროექტებს, მიმართვებს; ვთხოვთ, ვემუდარებით, ვემუქრებით... ზოგჯერ — შედეგიანად, ზოგჯერ — უშედეგოდ.

საყოველთაო ეკონომიკური კრიზისის პირობებში ყველა ამ ინსტანციას ყოველთვის შეუძლია ობიექტური მიზეზები გამოუძებნოს თავისი მოვალეობის შეუსრულებლობას განათლების სისტემის წინაშე: ფინანსისტებს ფული არა აქვთ, მშენებლებს — სარემონტო მასალა, პოლიგრაფისტებს — ქაღალდი, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს — არც ერთი, არც მეორე და არც მეთასე...

მიუხედავად ზემოთქმულისა, ქვეყანაში, სადაც თითქმის არაფერი იწარმოება და არაფერი იქმნება, სკოლა (საშუალოც და უმაღლესიც), ავად თუ კარგად, მაინც მუშაობს, სასკოლო პროცესი მასობრივად არსად ჩაშლილა და პედაგოგ-მასწავლებლობაც, მართალია, ილაჯის გაწყვეტის ზღვარზე, მაგრამ მაინც ასრულებს თავის პროფესიულსა და ზნეობრივ მოვალეობას — ასწავლის ახალგაზრდებს და ჯერჯერობით ითმენს თავის მათხოვრულ ყოფას...

მაგრამ ყველაფერს აქვს ზღვარი და არც განათლების მუშაკთა მოთმინების მარაგია ამოუწურავი...

მოკლედ, განათლების სისტემის შეუფერხებლად მუშაობაში ჩვენზე ბევრი რამაა დამოკიდებული, მაგრამ — არა ყველაფერი.

— გეთანხმებით, მაგრამ რა გაკეთდა იმ სფეროში, რომელიც განათლების სამინისტროს კომპეტენციაში შემოდის?

— მოგახსენებთ... მუნდირის დაცვის სურვილად ნუ ჩამითვლით, მაგრამ გულხელდაკრეფილი არ ვმსხდარვართ: განათლების სამინისტრომ უმძიმეს სიტუაციაში მაინც მოახერხა განეხორციელებინა ღონისძიებანი, რომლებიც, ერთი მხრივ, შეაჩერებდნენ სისტემის ნგრევას და, მეორე მხრივ, საფუძველს დაუდებდნენ სახვალიო, განახლებულ და გათანამედროვებულ განათლების სისტემას. საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას, თავისი ეროვნული განათლების სისტემა სჭირდება. ასეთი სისტემის ძირითადი მიმართულებები ჩამოყალიბდა განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ „საქართველოს უწყვეტი განათლების კონცეფციის" პროექტის რამდენიმე ვარიანტში, შემუშავებულია შესაბამისი სახელმწიფო პროგრამაც...

— რახან სიტყვამ მოიტანა, როგორ მიმდინარეობს განათლების სისტემის საკანონმდებლო აქტებით უზრუნველყოფის საქმე?

— ვერ გეტყვით, დაუბრკოლებლად-მეთქი, მაგრამ ბევრი რამ გაკეთდა, კერძოდ, შევიმუშავეთ ნორმატიული აქტების მთელი პაკეტი, ტიპიური დებულებები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა, გიმნაზიის, ლიცეუმის, კოლეჯის, პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა, უმაღლესი სკოლისა. მათი ამოქმედება შესაძლებელია მხოლოდ განათლების კანონის მიღების შემდეგ.

შევიმუშავეთ და დავამტკიცეთ განათლების სისტემის პედაგოგთა და ხელმძღვანელ მუშაკთა ატესტაციის დებულებები, რომლებსაც მალე ავამოქმედებთ.

პარლამენტის განათლების კომისიასთან თანამშრომლობით შეიქმნა და პარლამენტის მიერ დამტკიცდა „არასახელმწიფო საერო სასწავლებლების დებულება", რომელიც ხელს შეუწყობს წესრიგის დამყარებას არასახელმწიფო ანუ ფასიანი განათლების სისტემაში.

— მოკლედ, ხართ თუ არა მზად დაიწყოთ რადიკალური რეფორმები განათლების სისტემაში?

— რატომ — დავიწყოთ? კაცმა რომ თქვას, რეფორმა განათლების სისტემაში უკვე დაწყებულია, ოღონდ ამას დანახვა უნდა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენში რეფორმაზე ლაპარაკი ხშირად რეფორმის გატარება ჰგონიათ, ხოლო რეფორმის გარეგნული „საკმაზი" — რეფორმის შინაარსი.... მაპატიეთ უხეში გამოთქმისათვის, მაგრამ რეფორმებზე ცარიელი ლაყბობა კი არაა საქმე, არამედ — რეფორმისტული ტენდენციების დანერგვა-გატარება სასწავლო დაწესებულებებში. სტრუქტურული რეორგანიზაციები დიახაც საჭიროა, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია განათლების სისტემის შინაარსობრივი, თვისებრივი განახლება და გადახალისება. სწორედ ამას გულისხმობს ჩვენ მიერ სასწავლო გეგმების და პროგრამების განახლება, ახალი სახელმძღვანელოების შედგენა, ახალი საგნების დამკვიდრება. მაგალითად, წელს უკვე მოვახერხეთ რამდენიმე ათეული პედაგოგის მომზადება ახალ საგანში — „რელიგია და კულტურა"; ბატონმა რევაზ თვარაძემ ამ საგნის სახელმძღვანელოს შექმნის ურთულეს ამოცანას თავი დაადგა და ამით დიდი, სწორედაც რეფორმატორული საქმე გააკეთა. ქუთაისში განათლების სისტემის რეორგანიზაციაც დაიწყო... რახან სიტყვამ მოიტანა, აქ მე სანიმუშოდ მესახება ქალაქის მერისა და, საერთოდ, ქუთათური ინტელიგენციის დამოკიდებულება განათლებისადმი: განათლების პრიორიტეტობა აქ მარტო სიტყვის მასალა როდია, საქმეშია გაცხადებული. თბილისშიც ბევრი რამ გაკეთდა ამ თვალსაზრისით — რად ღირს თუნდაც მერიის მიერ ამ ბოლო ხანს გადადგმული ნაბიჯი — მასწავლებელთა უფასო ტრანსპორტირება... ეს ცოტას მაინც უმსუბუქებს ჩვენს შეჭირვებულ პედაგოგებს..."

— ბატონო თამაზ, ხმები დადის, თითქოს ეს თქვენი რეფორმები, მხედველობაში მაქვს ე. წ. „ქუთაისური ექსპერიმენტი", პროფტექნიკური განათლების სისტემის ლიკვიდაციას ნიშნავდეს.

— ვიცი, რა „ხმებზეც" ბრძანებთ და ამ „ხმების" ანუ ენის მიტან-მოტანებსაც ვიცნობ. პირდაპირ მოგახსენებთ, მე არ ვიზიარებ თვალსაზრისს, რომ პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა თავისი თავი უკვე „ამოიჭამეს" და ისინი უნდა გავაუქმოთ; მაგრამ ამ დარგს რომ არსებითი, შინაარსობრივი რეორგანიზაცია სჭირდება, ეს, ვფიქრობ, ყველასათვის ცხადია. დღეს „პროფების" უმეტესობა, რომ იტყვიან, „სულს ღაფავს", ფასიანმა ს წავლებლებმა ამ ტიპის სასწა ებელთა ისედაც შეთხელებ კონტინგენტი ლამის ნულზე დ ვანა; მაგრამ, ჩემი აზრით, „ა მყოფს" მკურნალობა, ანუ ახ სისხლის გადასხმა სჭირდება არა დასამარება, ლიკვიდაცია. ეს ცდილობს სამინისტრო, სიახლე ამ სფეროშიც ინერგ კერძოდ, „პროფები" ახალ ფ ქციებს იძენენ: კვალიფიკაცი ამაღლების, გადამზადების, ერნატიული სამსახურის, ინვა დთა პროფესიული მომზადებ

— მოსალოდნელია თუ არა ტიპის სიახლეები უმაღლეს სა ავლებლებშიც?

— არის და უკვე ინერგ კიდეც. ჩვენმა ეროვნულმა უ ვერსიტეტმა შეიმუშავა საუნ რსიტეტო უმაღლესი განათლე ძალზე საინტერესო კონცეფ რომელიც, მცირეოდენი კორ ტირების შემდეგ, ჩემი აზრით, ყოველთაოდ არის ჩვენში გა ზოგადებელი. ძალიან მნიშვნე ოვანი მომენტია უმაღლეს სა ავლებელთა გადასვლა მრავალ ფეხურიან სწავლებაზე, რაც გ ლისხმობს უმაღლესი განათლ ის ეტაპობრივ მიღებას. პირვე ეტაპი — **ბაკალავრიატი** — მ მზადებს სპეციალისტებს, რომლ ბსაც შეეძლებათ კვალიფიცი სამუშაოების შესრულება ან ვლის გაგრძელება პროფეს შემდგომი სრულყოფისათვის. მდგომი ეტაპი იქნება **მაგისტ ტურა** — სადაც მოხდება მაღ კვალიფიციური სპეციალისტ მომზადება.

— ექნებათ თუ არა წელს სწავლეებს ახალი სახელმძღ ელოები?

— იმდენი ვერა, რამდენიც ჭიროა, მაგრამ — უფრო მე ვიდრე ამ ბოლო წლებში და ჭდა. ზემოთ უკვე მოგახსენე რომ სამინისტროს საქმეა სახ ლმძღვანელოების დასაბეჭდ მომზადება, ბეჭდვა კი — სხ სი, მაგრამ როცა 150 დასახე ების სახელმძღვანელოდან შან მხოლოდ თორმეტი დაიბე და, მივხვდით, რომ სხვისი ხე ის შემყურენი წელს საერთო დავრჩებოდით „დედაენის" გა შეც კი. ამიტომ სახელმძღვან ლოთა დასაბეჭდად შევქმენით ალი მექანიზმი: სამინისტრო მოიზიდა კერძო სტრუქტურა ჩამოაყალიბა ერთობლივი ფი „ლამპარი", რომელშიც გაერთ ანებულია განათლების სამინის როს შესაბამისი სამსახური, მომცემლობა „განათლება" არასახელმწიფო, კერძო სტრუ ტურა. ამ ღონისძიებამ, როგორ უკვე აღვნიშნეთ და როგორ თანამშრომლობის შედარებ მცირე პერიოდმაც გვიჩვენა, წილობრივ მაინც გადაგვიწყვე სახელმძღვანელოების ბეჭდვ საკითხი: წელს უკვე 44 დასახ ლების სახელმძღვანელო დავბე დეთ, ერთ ამდენს კი ამ წლ ბოლომდე დავბეჭდავთ.

— მოკლედ, ავად თუ კარგა პირველ სექტემბერს მაინც წყებთ ახალ სასწავლო წელ არა?

— დიახ, ვიწყებთ. ჭადრაკ ასეთი გამოთქმა: თეთრები ყებენ და იგებენ... მე ასე ვიტ ოდი, უფრო სწორად, ვისურვე დი: სკოლები იწყებენ და იგ ბენ.

— ღმერთმა გისმინოთ!

ესაუბრ

ქეთევან დოლიძ

დღევანდელობა

შრომა ეს არის ანგარიში თან და ხალხთანო, მითხრა ქალმა. მახსოვს, ძლივს შე- ღიმილი. ქალი თავის თავს მსახურს, ანუ კრიშნაიდს ებდა. „აფხაზეთის ხმის" რე- ინფორმაცია მოიტანა, ჩამოთვლილი იყო ის მოქმედო საქმეები, რაც და მის თანამოაზრეებს გაე- ნათ: უფასოდ აჭმევდნენ ხელა მოხუცებს, უკიდურე- გაჭირვებულებს, ავადმყო-

მსახური" დაბეჯითებით ობოდა ინფორმაცია გაზეთში გვექვეყნებინა. არ მახსოვს, ვექვეყნეთ თუ არა, მგონი — მისახვედრი არ იყო: უანგაროდ არ კეთდებო- ეს ამ სამიოდე წლის წინათ მაშინ სოხუმს სიზმრადაც ელანდებოდა ომი. ქალაქი ცხოვრებით ცხოვრობ- და კრიშნაიდების თავგამოდე- ქველმოქმედებით მიექციათ საზოგადოების ყურად- მიზანს ვერ აღწევდა.

მაგრამ დაიწყო ომი. ცხოვრება ოდა. ჯერ კიდევ დაუბომბავი ების წინ ჩამომსხდარი დე- ბი ლუკმაპურს ნატრობდ- ქალაქში ხმა დაირხა, კრიშ- ებმა უფასო სასადილო გახს- მალე მათ ბაპტისტებმაც ხსნეს, მერე იელოველებმა, მე- „ორმოცდაათიანელებმა"... ეცალა ღრმა დასკვნებისთვის. ხალხს შიოდა და აპურებ- დამპურებლები მიზანს ნელა აღწევდნენ, მრევლს იმ- ვლებდნენ.

ომის პირველი დღეები. სოხუ- ქუჩაში მოსმენილი დიალოგი:

— სექტანტები კი არა, ღვთის ხოა. გაჭირვებაში მოგვევლი- ახლა ვიწამე მათი. ჩვენი ლესია რითი გვშველის? არაფ- თ. ჰოდა, ვინც გვშველის, ც მის მხარეს უნდა ვიყოთ.

— რა ვიცი... საჭმელს უფრო ადლიდი, თან რომ არ ქადა- დნენ. რა დროს ჭეშმარიტების ბაა, ქვეყანა იქცევა. რად ძინ- ახლა მე ქადაგება. თუ სიკეთე დათ, მაჭამონ და წავიდნენ.

— რა უმადურებაა! გაჭმევენ, იგი, ყური უნდა დაუგდო. ას ს ამბობენ ცუდს? გუშინ იმ მა რომ გვითხრა, თუ მონანი- ბაა, მარტო საკუთარ თავთან და მონანიოს კაცმა, ადამიანს მ საკუთარი სინდისი შეაწუ- ს. იქ მღვდელი რის მაქნისი- , არ ეთანხმები ამ აზრს?

— კი, ვეთანხმები, მაგრამ რა ნა, ასე ერთი ხელის მოსმით ლესიას როგორ მოვწყდე!

— ამათ ხელშია დღეს ჩვენი ლი. რას შევჭამდით, ესენი მ არა?

— ჰო, სწორი ხარ, დაფასება ნდა ამ ხალხს.

ქალაქში ხმა დაირხა, ამ ჩვენს მხსნელებს ყველგან ჰყოლიათ თანამოაზრენი და ახლა ისინიც გვეხმარებიანო. და ჩამოდიოდნენ და ჩამოდიოდნენ სოხუმში თბილისიდან თუ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან კრიშნაიდები, ბაპტისტები, იელოველები, „ორმოცდაათიანელები", და სხვები. ჩამოდიოდნენ პროდუქტებით და რელიგიური ლიტერატურით ხელდამშვენებულები.

ეკლესია კი, ჩვენი ეკლესია, იმ დღეებში ძალიან ჰგავდა საქართველოს — ქართველებისგან ზურგშექცეულს, მიტოვებულს, განწირულს.

ამბავი იფქლისა და ღვარძლისა

როცა ერი და ბერი ერთად იყო

ცოტა რამ წარსულიდან: რელიგიისა და მამულისათვის თავდადება საქართველოში ოდითგანვე ერთმანეთთან იყო გაიგივებული, — წერს ვახუშტი ბაგრატიონი, — ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის მთელ გაყოლებაზე (IV—XVIII სს). ჯარი და ეკლესია მხარში ედგნენ ერთმანეთს. ეკლესიის როლი მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ ქართულ ლაშქარს ბრძოლა უხდებოდა ძირითადად არაქრისტიან მოწინააღმდეგესთან, სხვადასხვა მუსლიმანურ სახელმწიფოებთან, რომლებიც არ კმაყოფილდებოდნენ საქართველოს მხოლოდ დახარკვა-დამორჩილებით და მის გადარჯულებას ცდილობდნენ.

სასულიერო პირები არამარტო მორალურად ამხნევებდნენ მეომრებს, არამედ, ცალკეულ შემთხვევაში, სამხედრო ოპერაციებსაც ხელმძღვანელობდნენ. მაგალითად, დავით აღმაშენებლის სახელოვანი თანამებრძოლის, მწიგნობართუხუცესის, მთავარეპისკოპოსის გიორგი ჭყონდიდელის სარდლობით ქართველთა მხედრობამ თურქებისგან გაათავისუფლა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-ქალაქები სამშვილდე და რუსთავი.

ეკლესია მნიშვნელოვან ჰუმანიტარულ როლსაც ასრულებდა: ომებში დასახიჩრებული მარტოხელა მეომრების თავშესაფარი მონასტრები იყო, სადაც მათ სიცოცხლის ბოლომდე ინახავდნენ და უვლიდნენ.

ასეთი იყო ეკლესიის როლი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

იქნებ სწორედ ამან გადაარჩინა საქართველო?

ერსა და ბერს, არ ანცალკევებდა ჩვენი წინაპარი.

მოისპო საქართველოს სახელმწიფოებრიობა და გაუცხოვდა ერი და ბერი.

ამას სამოცდაათწლიანი კომუნისტური ეპოქაც დაემატა. სულ ახლახან არ იყო, ეკლესიისკენ მიმავალ მრევლს კომკავშირელები რომ გზას ულობავდნენ? თითქოს ყველაფერი ეს არ კმაროდა და ახლა ტაძრისკენ მიმავალ გზაზე სექტანტები ჩადგნენ.

მეტეხის ტაძრის წინამძღვარი **მამა პავლე:** — ქართველი ბუნებით შემწყნარებელია. ასე იყო ოდითგან. მაგრამ ჩვენს წინაპარს შემწყნარებლობის გარდა კიდევ ჰქონდა რაღაც, ეს იყო სულიერი საწყისი, რაც აძლევდა მას შემწყნარებლობის უფლებას. ვაღიაროთ, რომ დღეს ეს სულიერი საწყისი არა გვაქვს. სულიერების (პრინციპულობის) გარეშე კი შემწყნარებლობა არის აღრევა, რომელსაც არავითარ შემთხვევაში ჩვენი წინაპარი არ წაახალისებდა.

ვამაყობთ, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც არ უბოგინია ანტისემიტიზმს. იმითაც ვამაყობთ, რომ დავით აღმაშენებელი მაჰმადიანთა რელიგიურ გრძნობებს განსაკუთრებულ ანგარიშს უწევდა. მაგრამ იმავე დავითმა, რომელიც მეჩეთში შედიოდა და თბილისის იმ უბანში, სადაც მაჰმადიანები ცხოვრობდნენ, ღორის დაკვლა აკრძალა, მოიწვია რუის-ურბნისის კრება, სადაც ითქვა სიტყვები, რომელიც, ალბათ, ყველა ქართველს გულის ფიცარზე უნდა ეწეროს: „...გარნა არათუ უხიწოებასა ქართველთა სარწმუნოებისას ბიწი რაიმე შეხებოდა, ნუ იყოფინ ესე! არა გეცრუვენით შენ, სიწმიდით მშობელო ჩვენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, ვინაითგან შემეცნებასა შენსა ღირს ქმნილი ვართ — მოწამე არს ჭეშმარიტებაი!..."

ერთი სიტყვით, სანამ ჩვენი საზოგადოებრიობა, თითოეული ჩვენგანი არ გაითავისებს იმას, თუ როგორ უთავსებდა ერთმანეთს წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი ტოლერანტობასა და პრინციპულობას — აღმსარებლობის სიწმინდის დაცვას, ვფიქრობ, საბოლოო დასკვნების გამოტანა ნაადრევია. ჩვენ დემოკრატიულ სამყაროში ვცხოვრობთ და დემოკრატიული პრინციპებით ვქმნით დემოკრატიულ ქვეყანას. მაგრამ დემოკრატია არ ნიშნავს ანარქიას. სინდისის თავისუფლება არ ნიშნავს რელიგიურ აღრევას. ჩვენი ქვეყანა ტრადიციული აღმსარებლობის ქვეყანაა. ეს აღმსარებლობა არის მართლმადიდებლობა. სამწუხაროდ, ჩვენში დღემდე არ არსებობს იურიდიული კანონი, რომელიც დაიცავს ტრადიციული აღმსარებლობის უფლებას. მსოფლიოში ბევრი დემოკრატიული ქვეყანა არსებობს, სადაც დამკვიდრებულია ტრადიციული აღმსარებლობა და იგი კანონით არის დაცული. ასეთი ქვეყნებია: ესპანეთი, პორტუგალია, იტალია, პოლონეთი, ბრაზილია, შვეიცარია და სხვ. ამ ქვეყნებში სხვა აღმსარებლობათა პროპაგანდა, ექსპანსია, კანონით შეზღუდულია. არსებობს სხვა ქვეყნებიც, სადაც არ არსებობს ტრადიციული აღმსარებლობა, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები. იქ ყველა აღმსარებლობა ერთნაირი უფლებით სარგებლობს. ჩვენ კი ასეთი მაგალითები არ გამოგვადგება. რა პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, დღეს ყველაზე დიდი საფრთხის ქვეშ სწორედ მართლმადიდებლური ეკლესია და მისი სიწმინდეა. გულსატკენია, მაგრამ ფაქტია. როცა ეკლესია თავს იცავს, ხმას იმაღლებს სხვა აღმსარებლობების, სულიერი ექსპანსიის, სულიერი აგრესიის წინააღმდეგ, ბევრი ჩვენი თანამემამულე მას აგრესიად აღიქვამს. ჩვენთვის ყველა ადამიანი ძვირფასია, ყველა ჩვენი სულიერი შვილია და ამიტომ ძალიან გვიჭირს ამ თემაზე საუბარი.

სახარებაში არის იგავი იფქლისა და ღვარძლის შესახებ. მიწის მეპატრონემ თავის ნაკვეთზე ხორბალი დათესა, ხოლო მისმა მტერმა ღვარძლი — შხამიანი მცენარე ჩაუთესა, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავს ხორბალს. როცა მსახურებმა ეს შენიშნეს, მიწის მეპატრონეს ყანის გამარგვლის უფლება სთხოვეს. მეპატრონემ უპასუხა: იფქლი და ღვარძლი ერთმანეთზე ფესვებით არის გადახლართული, თუ ღვარძლს ამოთხრით, მას ხორბალიც ამოყვება. მოვა მკის დრო, მათ ერთმანეთისაგან მომკალნი განაცალკევებენ, ხორბალს საუნჯეში შევაგროვებთ, ხოლო ღვარძლი ცეცხლში დაიწვება. მანამდე კი აცალეთ, ერთად გაიზარდონო.

კარგად ვხედავთ იმ მძიმე შედეგებს, რაც მოსდევს ხოლმე სხვადასხვა აღმსარებლობის სულიერ ექსპანსიას. გვსაყვედურობენ კიდეც „პასიურობის" გამო. მაგრამ ეს არ არის პასიურობა. ეს არის მდუმარე გულისტკივილი, უთანასწორო ბრძოლაში ვართ. „უანგარობისა" და „კეთილი სურვილების" უკან, რომელიც ჩვენს „კეთილისმყოფელებს" ამოძრავებთ, ძალიან დიდი, შემაშფოთებლად დიდი ფინანსური ძალა დგას, რომელიც არაფერს ერიდება. ვისგან და რა მიზნით ხდება ასეთი „გულუხვობა"? არ მინდა ამ კითხვას ახლა გავცე დადებითი ან უარყოფითი პასუხი, მაგრამ დაფიქრებად კი ნამდვილად ღირს.

არალირიკული გადახვევა. ქალი ქადაგებდა დინჯად, დამაჯერებლად, არც კვერის დაკვრას ითხოვდა, არც თავის დაქნევას. სტუდენტი გოგონები თავჩაღუნული უსმენდნენ. ქადაგებდა სამყაროს შექმნაზე, ეშმაკის მზაკვრობასა და ადამის პირველ ცოდვაზე, მომავალ მსოფლიო უბედურების შესახებ. მსმენელებში განსაკუთრებით ხმიანობდა სიტყვები: „გადარჩება ის, ვინც იელოვაზეა მინდობილი", „ღმერთი არ ცხოვრობს ხელთქმნილ ტაძრებში", „იესო ღმერთის ძეა, მაგრამ ქალწულისაგან დაიბადა ადამიანად, ანგელოზებზე დაბალია", „არასწორია მიცვალებულთა პატივისცემა", „წინაპრების თაყვანისცემა ამაოა"... ქალი ქადაგებდა დინჯად, დამაჯერებლად. სტუდენტი გოგონები თავჩაღუნული უსმენდნენ...

ინფორმაცია განსჯისათვის. „იელოვას მოწმეების" სექტა დაარსდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1872 წელს. მისი მამათავარია ამერიკელი ვაჭარი ჩარლზ რასელი, რომელმაც ეს სექტა გამოყო ადვენტისტთა სექტისაგან. სექტას „იელოვას მოწმეები" ეწოდა 1931 წელს, მანამდე „იელოველები", ერქვა, უფრო ადრე კი — „ბიბლიის მკვლევარები".

სექტა გამოირჩევა მკაცრი წესრიგით, ჰყავს პროპაგანდისტების მრავალრიცხოვანი არმია. შტაბსადგომი ბრუკლინშია (ნიუ-იორკის გარეუბანი). მას აქვს საკუთარი რადიოსადგური, სტამბა, გამოსცემს ჟურნალებს. „საგუშაგო კოშკი" (გამოდის თვეში ორჯერ მრავალმილიონიანი ტირაჟით, სხვადასხვა ენაზე), „გაიღვიძეთ" და სხვ., სექტა გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ყოფილი საბჭოთა იმპერიის რესპუბლიკებში (განსაკუთრებით, უკრაინის დასავლეთ ოლქებში, ბელორუსიაში), საქართველოში მისი მიმდევრების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო 4-5 წლის მანძილზე.

„იელოვას მოწმეები" ღმერთის მხოლოდ ერთ სახელს — იელოვას აღიარებენ. ამ სექტის პრეზიდენტი ითვლება იელოვას მოადგილედ დედამიწაზე და აქვს განუსაზღვრელი უფლებები ფილიალებზე, რომლებიც მიმოფანტულია მსოფლიოს ქვეყნებში.

სექტის ხელმძღვანელები და რელიგიური ავტორიტეტები შეადგენენ ეგრეთ წოდებულ „მცირე ფარას", იელოვას „ერთგულ და კეთილგონიერ მონებს", რომლებიც მართავენ და ასაზრდოებენ დანარჩენ ბევრად უმეტეს „ცხვრის ფარას".

„იელოვას მოწმეები" თვლიან, რომ „მცირე ფარას" იელოვა არჩევდა კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე. ამჟამად „144 ათასი ღვთის სულით ცხებულთაგან" (ხელმძღვანელები და ავტორიტეტები), ქვეყანაზე დარჩა მხოლოდ 9 ათასი, „მცირე ფარის" წევრები სიკვდილის მომენტში ერთბაშად აღსდგებიან ხოლმე მკვდრეთით და ხვდებიან იელოვას სამეფოს ციურ ნაწილში, სადაც შედიან ქრისტეს სამთავროში, რომლის მეორედ მოსვლაც უკვე მოხდა. სხვა „ცხვრებს" ჰპირდებიან აღდგომას და საუკუნო სიცოცხლეს სამოთხეში არმაგედონის შემდეგ. აღდგებიან ისინიც, რომლებიც ისე მოკვდნენ, რომ ვერ მოასწრეს ზიარებოდნენ „იელოვას მოწმეების" სწავლებას, მაგრამ მათ გამოცდა მოელით...

ამბობენ, ლამის მთელი ზემო სვანეთი „იელოვას მოწმეებად" იქცესო!..

— არავითარი სურვილი არა მაქვს კორესპონდენტს შევხვდე, ჩვენ გაზეთი არ გვაინტერესებს,— მითხრა ერთმა „ორმოცდაათიანელმა და ყურმილი დაკიდა.

ინფორმაცია განსჯისათვის. „ორმოცდაათიანელთა" სექტა აღმოცენდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, XX საუკუნის დამდეგს. სახელწოდება აღებულია „ახალი აღთქმიდან": ქრისტეს აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს მოციქულებზე გადმოვიდა სულიწმიდა და მათ შეძლეს თავისი მოძღვრების სხვადასხვა ენაზე ქადაგება.

„ორმოცდაათიანელებს" ღმერთი, ფაქტობრივად, დაჰყავთ სულიწმიდამდე და სწამთ, რომ მას შეუძლიათ ჩასახლდეს ყველა ადამიანში, რომელიც მთელ სულიერ ცხოვრებას მოახმარს ღვთის მსახურებას, ისევე, როგორც იგი ჩასახლდა იესო ქრისტეში და მის მოწაფეებში. სექტის მოძღვრებაში ყველაზე დიდი ადგილი უკავია ქადაგებას ქრისტეს მეორედ მოვლინების და მისი ათასწლოვანი მეუფების დამყარების შესახებ. მოსანათლ პიროვნებაზე უნდა გადმოვიდეს სულიწმინდა. ნათლობას წინ უსწრებს მკაცრი მარხვა და გულმოდგინე ლოცვავედრება.

როგორც სხვა სექტები, „ორმოცდაათიანელთა" სექტაც უარყოფს ეკლესიას, ჯვარს, ხატებს, წმინდანებს, სამღვდელოებას, ქრისტიანულ საიდუმლოებებს...

მაინც რამდენი აღმსარებლობაა დღეს საქართველოში გავრცელებული? — მართლმადიდებლურის, გრიგორიანულის, კათოლიკურის, მუსლიმანურის, იუდისტურის, შემდეგ მოდის სხვადასხვა სექტები, ფორმირებები, თემები: ბაპტისტები, სუბოტნიკები, ადვენტისტები, მეშვიდე დღის ადვენტისტები, ადვენტისტ-რეფორმისტები, ბაჰაისტები, სტაროვერები, მოლოკნები, დუხობორები, ევანგელისტები... მათი რიცხვი ოცამდეა.

ცნობისმოყვარე ქართველი არც ერთ მათგანზე არ ამბობს უარს.

დღეს, როცა პიროვნების თავისუფლებაზე ამდენს ვლაპარაკობთ, არც არავის აქვს უფლება ვინმეს რელიგიურ მსოფლმხედველობაზე იმოქმედოს.

ადამიანს უნდა და სწამს. უნდა და სჯერა. მაგრამ...

მაგრამ ხომ ფაქტია, „ჭეშმარიტების ძიებაში" სარწმუნოების ერთობაც დავკარგეთ.

ამერიკაშიო... — იტყვის მავანი, — ამერიკაში უამრავი აღმსარებლობაა, მაგრამ ხომ არის ბედნიერი ქვეყანაო.

გამოადგება ამ შემთხვევაში მაგალითად დიდი ამერიკა პატარა საქართველოს?

სარწმუნოების ერთობა დავკარგეთ... იქნებ ერის ერთობასაც მაშინ მოეშალა ბალავერი. აკი დიდი ილია ბრძანებდა: „ქრისტეს რჯული ქართველებისთვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად, პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა. ქართველი ერი უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც თავისი შინაგანი ღირსების გარდა დუღაბობას უწევდა ერთობას".

სწორედ ასეთი დუღაბობა სჭირდება დღეს საქართველოს ერისა და ბერისაგან!

მზია გელენავა.

„ხელოვნება" ცოცხალია!

გამოვიდა ჟურნალ „ხელოვნების" წლევანდელი 1-3 გაერთიანებული ნომერი

მკითხველი შეამჩნევდა, რომ კარგა ხანია შეფერხებებით გამოდის ჟურნალი „ხელოვნება" (რედაქტორი ნოდარ გურაბანიძე), რაც ჩვენი საგამომცემლო მეურნეობის ეკონომიკური გასაჭირის შედეგია.

წლევანდელი 1-3 გაერთიანებული ნომერი ახლახან გამოვიდა სტამბიდან.

ჟურნალის გადაფურცვლისას მკითხველი უთუოდ გაოცდება — მასში თეთრი „ლაქების" აღმოჩენით!.. ეს გახლავთ პოლიგრაფიული კრიზისის გამო უილუსტრაციებოდ დარჩენილი გვერდები, რისთვისაც რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველებს... სამაგიეროდ, ეს ნომერი შინაარსობრივად მრავალფეროვანი და საინტერესოა. აქ გაეცნობით დონარა კანდელაკის საუბარს ნინო ანანიაშვილთან („დიდი ბალერინა"); ედიშერ გარაყანიძის წერილს „შერეული შესრულების შესახებ ქართულ ხალხურ სასიმღერო შემოქმედებაში"; პიტერ ბრუკის აზრებს თანამედროვე თეატრალურ ხელოვნებაზე, ნადია შალუტაშვილის, ეთერ გუგუშვილის, ვასილ კიკნაძის, ანა ბობილევას წერილებს.

ტრადიციულად მუსიკისა და თეატრის გარდა რედაქცია გვთავაზობს საინტერესო მასალებს კინოსა და მხატვრობის გარშემო.

ბორის ციბაძის შემოქმედებას ეხება ხელოვნებათმცოდნე კეტი მაჩაბლის წერილი, მაგრამ, სამწუხაროდ, კვლავ ზემოთ ხსენებული მიზეზის გამო გარეკანის პირველ, მესამე და მეოთხე გვერდებზე ვერ იხილავთ ამ მოქანდაკის ნამუშევრებს.

უმაღლესი ხარისხის
ქაღალდი
A4 ფორმატი (210X297)
80გრ/მ^2 ზემაღალი სიმშრალის
ფინური წარმოების
ერთი შეკვრა 500 ცალი (2,5კგ)
ქაღალდი გამოსაყენებელია
ქსეროკოპირებისათვის,
ლაზერული და ჭავლური
პრინტერებისათვის.

ტელ.: 93-00-74, 98-75-11

სიტყვა მკურნალი უნდა იყოს

ექიმებს ხშირად გვეკითხებიან, რესპუბლიკაში სადღეისოდ როგორი მდგომარეობაა მოსახლეობის ავადობის თვალსაზრისით. ყველას აინტერესებს, რამდენად გახშირდა ესა თუ ის დაავადება, განსაკუთრებით გულისა და სისხლძარღვთა პათოლოგია. ამ პრობლემისადმი მოსახლეობის ინტერესი შემთხვევითი არ არის. ყველა ხედავს, რომ ჩვენს დაძაბულ, ემოციებით და სტრესული სიტუაციებით აღსავსე ცხოვრებაში გახშირდა ბევრი ავადმყოფობა, განსაკუთრებით გულის იშემიური დაავადება, გულის კუნთის ინფარქტი და მასთან დაკავშირებული გართულებანი.

კარგა ხანია ცნობილია, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წარმოშობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ნერვული სისტემის გადაძაბვას ენიჭება. ადამიანის ცხოვრებაში გადატანილი უარყოფითი ემოციები, სხვადასხვა სტრესული სიტუაციები და, რაც მთავარია, მათი ხანგრძლივი დროით ზემოქმედება, დიდად უწყობს ხელს დაავადების განვითარებას, მძიმე გართულებებს.

მოსახლეობის ნერვული, ფსიქო-ემოციური სფეროს დაძაბვა, გადაღლა კი დიდად არის დამოკიდებული იმ ძირითად ფაქტორზე, რომელსაც ადამიანთა შორის ურთიერთობას ვეძახით. დღეს ეს ურთიერთობა ძლიერ შეიცვალა — ადამიანები ერთმანეთისადმი აგრესიულად არიან განწყობილი.

შესანიშნავად უთქვამს ჩვენს დიდებულ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს გრიგოლ ორბელიანს; „ენამ გამოიყვანა კაცი ველურის მდგომარეობისაგან, სიტყვამ დაუმშვიდა მხეცური გული, ჰყო იგი ლმობიერი... სიტყვამ დააყენა კაცი მაღალსა დიდების ხარისხზე". სამწუხაროდ, დღეს ეს სიტყვებია, ადამიანები რომ გამოჰყავს წონასწორობიდან, სულს უშხამავს.

ბრძნული ნათქვამია — ხანჯლით მიყენებული ჭრილობა რჩება, სიტყვით დაკოდილი — არაო. ჩვენს დროში გაუთავებელი ლანძღვა-გინება, სიტყვიერი შეურაცხყოფა გადამწყვეტი ფაქტორია ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისა. ყველას არ ძალუძს შეურაცხყოფა იოლად გადაიტანოს, მით უმეტეს — ავადმყოფს, ამის მოწმენი ექიმები ვართ.

განა მსოფლიოში ცნობილი დიდი ქართველი მეცნიერი, ფილოსოფოსი, დახვეწილი ინტელიგენტი მერაბ მამარდაშვილი, ან შესანიშნავი პოეტი, სახელოვანი მამულიშვილი, საზოგადო მოღვაწე ირაკლი აბაშიძე, ანდა, ცნობილი ქირურგი მეცნიერი, ჩვენი კოლეგა და მეგობარი აკადემიკოსი ოთარ ღუდუშაური და ბევრი სხვა სახელოვანი ქართველი ავი ენის მსხვერპლი არ გახდა?

როგორ გავამხილოთ, სირცხვილით სად გამოვჩნდეთ? ჩვენი ერის გამორჩეულ შვილებს უდიერი, უმსგავსი სიტყვებით შეურაცხყოფა მიაყენეს, არ დაინდეს, ანგარიში არ გაუწიეს არც ასაკს, არც დამსახურებას. ტელეფონის განუწყვეტელი ზარებით არ ასვენებდნენ, ემუქრებოდნენ. მერე და ვინ?... ეს არის საკითხავი.

სამწუხარო ის არის, რომ ასეთივე უბედურება, განურჩეველი ლანძღვა-გინება, დაუნდობლობა ახლაც გრძელდება, ახლაც არანაკლებ აწუხებს ჩვენს საზოგადოებას. ზოგიერთი ჩვენი გაზეთის ტონი აიღეთ — ღვარძლიანი კრიტიკა, პასკვილები, ქირდვა, აბუჩად აგდება, შეურაცხყოფა. ნუთუ იმ ადამიანებს, რომლებიც ასე წერენ, ჰგონიათ, რომ ერის საქმეს ემსახურებიან?... ამ გზით გვინდა თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ?

ამასთან დაკავშირებით, ჩემი ღრმა რწმენით, აუცილებლად საჭიროა, ერთგვარი ოპტიმისტური განწყობილების შეტანა ჩვენს ყოველდღიურ ინფორმაციებში, პრესაში თუ ტელევიზიაში, სხვადასხვა სპეციალისტებთან საუბრებში, ინტერვიუებში და სხვა.

ხალხს ყოველთვის სიმართლე უნდა ვუთხრათ, რა გინდ მძიმე იყოს, მაგრამ მარტო გამოუვალ სიტუაციებზე ლაპარაკი, ადამიანებში ყოველგვარი რწმენის დაკარგვა, მხოლოდ უიმედობის ჩანერგვა, ჩვენს ისედაც უაღრესად დაძაბულ, არეულ საზოგადოებას კარგს არაფერს მოუტანს.

როგორც იტყვიან, არ არსებობს გამოუვალი მდომარეობა, ყველა პრობლემას თავისი შესაფერისი, დადებითი გამოსავალი უნდა მოვუძებნოთ, ხალხს უკეთესი მომავლის იმედი ჩავუნერგოთ. ავიღოთ თუნდაც ამ პრობლემის მეორე, მნიშვნელოვანი მხარე: ჩვენი პარლამენტის მუშაობის ყოველდღიური ტრანსლაცია ტელევიზიით. ვერ წარმომიდგენია, როგორ იძაბება ჩვენი საზოგადოება, მსმენელი, მაყურებელი ზოგიერთი სხდომის გადაცემის შემდეგ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ზოგიერთი პარლამენტარი შეურაცხყოფას აყენებს თავის კოლეგას, ლანძღვა-გინებასაც არ ერიდება. ეს ხომ კიდევ უფრო ამწვავებს ისედაც დაძაბულ ნერვულ სიტუაციას. განა აუცილებელია ყველა სხდომის მიმდინარეობის ნახვა და მოსმენა?! მაგალითისათვის, მარტო 25 დეკემბრის სხდომის ჩვენება იქნებოდა საკმარისი. ჩვენდა საბედნიეროდ, ამ სხდომის ტრანსლაცია ვერ მოხერხდა. შორსა ვართ იმისაგან, რომ ზემოაღნიშნულით რაიმე შეურაცხყოფა მივაყენოთ პარლამენტის დიდ უმრავლესობას. ჩვენი მაყურებელი ამაში კარგად ერკვევა და ჯეროვნად აანალიზებს ყველაფერს, მაგრამ ეს ხომ ადამიანთა და პირველ ყოვლისა პარლამენტის იმ წევრთა უდიდეს ნერვიულ დაძაბულობას მოითხოვს, რომლებიც კატეგორიულად გმობენ უხეშ, უარყოფით გამოვლინებებს.

თუ გნებავთ, ავიღოთ კიდევ ერთი მაგალითი არგუმენტირებული, მართალი სიტყვის, აზრის ფსიქოლოგიური ზემოქმედების შესახებ. ამას წინათ საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსი ზბიგნევ ბჟეზინსკი. გავიხსენოთ მისი დიალოგი ბატონ გელა ჩარკვიანთან, სახელმწიფოს მეთაურის მთავარ მრჩეველთან, საგარეო ურთიერთობათა სფეროში. არაჩვეულებრივად წარიმართა ეს საკმაოდ გულწრფელი, ყოვლისმომცველი საუბარი. ზ. ბჟეზინსკი საკმაოდ მკაცრი, უაღრესად ობიექტური იყო დღევანდელი მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შეფასებაში. გავიხსენოთ თუნდაც მისი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უშლის ხელს ჩვენი ქვეყნის აღორძინებას, დემოკრატიზაციას საზოგადოების გათიშვა, დაქსაქსულობა. ყოველივე ეს საუბარში ითქვა სრულიად ობიექტურად, მკაცრი სიმართლით, მაგრამ ამავე დროს უაღრესად დახვეწილი ტაქტითა და დამაჯერებელი ოპტიმიზმით.

ვერ წარმოიდგენთ, როგორი ფსიქოლოგიური, დამამშვიდებელი ძალით იმოქმედა ასეთმა საუბარმა ადამიანებზე. თითქოს პარადოქსულია, სინამდვილის მკაცრმა, დაუნდობელმა, არგუმენტირებულმა სიმართლემ, პირიქით, დადებითი ემოციები გამოიწვია. საქმე ის არის, თუ როგორ, რა ფორმით იტყვი ყოველივეს, საუბრის როგორი ტონი გექნება. მარტო იმაზე ლაპარაკი, რომ არაფერი გვეშველება, უფსკრულის პირას ვართ, ყოველგვარი შესაძლებლობა მდგომარეობიდან გამოსვლისა ამოწურულია და სხვა, კარგს ვერაფერს მოგვიტანს. ერთი სიტყვით, უნდა ვისწავლოთ ლაპარაკი, უნდა ვიცოდეთ, რა და როგორ ვთქვათ.

და ბოლოს, სანამდე გვინდა ვიყოთ ურწმუნონი, არ დავუჯეროთ მსოფლიოს უდიდესი პოლიტიკური მოღვაწეების აზრს ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის შესახებ, რატომ არ გავუწიოთ ანგარიში და არ გამოვიყენოთ ის შესაძლებლობები, რაც მის დიდ ავტორიტეტთან არის დაკავშირებული?! სამწუხაროდ, ზოგიერთს ჯიუტად არ სურს დაიჯეროს ყოველივე ის, რაც ჩვენს გარშემო ხდება. მოდით და არ გავუწიოთ ანგარიში ისეთ შეხვედრებს, როგორიც ჩვენი დელეგაციის წევრებს ჰქონდათ ამერიკის შეერთებულ შტატებში; ან ემოციურად როგორი დამამშვიდებელი იყო ჩვენთვის ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის ვიზიტი საქართველოში; მოდით, არ გავუწიოთ ანგარიში ისეთ პიროვნებას, როგორიც ზბიგნევ ბჟეზინსკია, ხომ არ დაგვავიწყდა, რა თქვა მან ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის შესახებ? ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საჭიროა არ დავუკარგოთ არავის, ვინც უნდა იყოს ის, თავისი დამსახურება. დაუჯერებლობას, შურს თუ სხვა უარყოფით ემოციებს უდიდესი ზემოქმედების ძალა აქვს ჩვენს სულიერ სამყაროზე.

ზემოაღნიშნულზე მკითხველის ყურადღება იმიტომ გავამახვილე, რომ სულიერ განწყობას, მუდმივ, ყოველდღიურ ნერვულ-სტრესულ სიტუაციებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობის, მისი შრომისუნარიანობისა და აქტიური ცხოვრების შენარჩუნებისათვის. ჩვენ, ექიმები დღეს სწორედ ამას ვაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას. მაგრამ მარტო ექიმები, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები დღევანდელობის ამ აქტუალურ პრობლემას ვერ გადაწყვეტენ.

ჩვენი აზრით, ამ მიმართულებით ბევრი რამ შეიძლება გამოვიყენოთ, თუნდაც ჩვენი ტრადიციები ავიღოთ.

ჩვენზე უკეთ ვინ იცის სტუმრის მიღება, მეგობრობა, ნათესაობა, ნათლმირონი, უფროსის პატივისცემა? ეს ხომ ჩვენი ცხოვრების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ჩვენი სუფრა, მოლხენა, ქორწილი თუ სხვა წვეულებანი რაინდობის, კეთილშობილების, ერთმანეთის სიყვარულის, პატივისცემის მქადაგებელი არ არის? ნუ დავივიწყებთ ამ ტრადიციებს, სათუთად შევინახოთ, ჩვენი სულის დასამშვიდებლად გამოვიყენოთ! რას ვუტოვებთ ჩვენს შთამომავლობას, მომავალს?!... გონს მოვიდეთ, დავმშვიდდეთ, ერთმანეთს მოვეფეროთ! ხშირად გაიგონებთ: რა დროს კონცერტები, თეატრალური წარმოდგენები, ფესტივალებია, როცა ქვეყანა თავზე გვენგრევაო?!... სწორედ რომ ახლაა საჭირო ყველაფერი ის, რაც ჩვენს აფორიაქებულ სულს დაამშვიდებს, დააოკებს, დაამებს, უფრო კეთილშობილს გახდის, მხოლოდ ერთი პირობით, ნაკლებად ვუჩვენოთ გაუთავებელი ამერიკული „ბოევიკები", ძალადობა, კაცის კვლა, საშინელებანი, თავაწყვეტილი სექსი, გამაყრუებელი, ყოველგვარ მელოდიურობას მოკლებული მუსიკა. განა ცოტა გვაქვს დღევანდელი დროის შესაფერისი ფილმები, მუსიკა, სანახაობანი? ვეცადოთ ჩვენი დროის ადამიანის ფსიქიკა, მისი სულიერი სამყარო დავამშვიდოთ!... ექიმის თვალსაზრისით, ამ ფაქტორებს სადღეისოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამასვე ფიქრობს დღევანდელი საზოგადოებაც.

ამასთან ერთად, საჭიროდ მიგვაჩნია ისიც აღვნიშნოთ, რომ ამ დიდ საქმეში აუცილებელია კიდევ უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ჩვენი სახელოვანი ფსიქონევროლოგები, ანონიმური ფსიქო-ნევროლოგიური დახმარება, სპეციალიზებული დისპანსერები, ლექცია-საუბრები რადიოთი, ტელევიზიით და ბევრი სხვა საშუალება.

გვახსოვდეს, ამით ჩვენი ერის ჯანმრთელობას შევუწყობთ ხელს, ხალხი უფრო გაუძლებს და გადაიტანს დღევანდელ სიძნელეებს, უფრო მალე მივაღწევთ ჩვენი ქვეყნის აღორძინებას, მის კეთილდღეობას!

ირაკლი ჟუმბურიძე,
საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ძვირფასო თანამოქალაქენო!

სააქციო კომერციული ბანკი
„[illegible] ბიზნეს ბანკი"
აგრძელებს სავალუტო კრედიტების გაცემას,
გირაოში ძვირფასი ლითონებისა
და ნაკეთობების დატოვებით.
საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება
კრედიტის ამღებთან შეთანხმებით.

სავალუტო კრედიტების გაცემა შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 16,
მშენებლობის სამინისტროს შენობაში, პირველ სართულზე,
მეტროს სადგური „სამედიცინო ინსტიტუტი"
ტელეფონი 37-44-51.

ბანკის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად ითვალისწინებს
კრედიტის ამღებთა ინტერესებს!

ფირმა «PrintShop»
თბილისი.
ვირსალაძის ქ. 8
ტელ.: 998696,
997712.



უახლესი ჰოლანდიური ტექნოლოგიით!
უმოკლეს დროში!
დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის ბეჭდებსა და შტამპებს
სავიზიტო ბარათებს, ბლანკებსა
და ფასიან ქაღალდებს
PS L.T.D

XEROX
The Document Company
ოფიციალური წარმომადგენელი

გთავაზობთ:
პირგადამღებ მანქანებს, საფაქსიმილო
აპარატებს, სალაზერო პრინტერებს,
საბეჭდ მანქანებს, საკანცელარიო
საქონელს

პრესტიჟი
უმაღლესი ხარისხი
გარანტია სერვისი

ტელეფონი: 98-36-31 ფაქსი: 98-96-58
ტელექსი: 212958 ESABI
სერვის-ცენტრი: 98-94-77

რეკლამები დამზადებულია
ფირმა „დრონის"
კომპიუტერულ ცენტრში.
ტელ: 93-15-00

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

საქინფორმი იტყობინება

კანონი მოქმედებს

•

ყაჩაღობის კიდევ ერთი ფაქტი

წყალტუბოს რაიონის მკვიდრმა კობა გაბიანმა თანასოფლელ გია ჩაკვეტაძესთან ერთად ყაჩაღური გზით ავტომანქანების გატაცება გადაწყვიტა. ავტომატითა და ხელყუმბარით შეიარაღებულები, სოფელ მაღლაკთან ჩასაფრდნენ. მალე მომავალი ავტომანქანა გააჩერეს, მძღოლს ომარ ჯიშკარიანს და მის თანმხლებ პირებს მანქანიდან გადმოსვლა უბრძანეს. ყოველივე ქუთაისში მიმავალმა პოლიციელმა ვასილ მეგრელიშვილმა შენიშნა, მანქანა გააჩერა და ყაჩაღებისკენ გაემართა. შეშინებულმა გაბიანმა და ჩაკვეტაძემ ტყეს შეაფარეს თავი. ვ. მეგრელიშვილი პოლიციის განყოფილებაში მივიდა და სხვა თანამშრომლებთან ერთად შემთხვევის ადგილზე დაბრუნდა, როცა ჩაკვეტაძემ პოლიციელები დაინახა, ხელყუმბარის გახსნა სცადა, მაგრამ იგი ფეხში დაჭრეს. გაბიანმა ავტომატის ცეცხლი გაუხსნა პოლიციელებს, საპასუხო სროლით ისიც დაიჭრა და პოლიციელებს დანებდა.

საავადმყოფოში მოთავსებულმა გ. ჩაკვეტაძემ გაქცევა მოახერხა.

კ. გაბიანი კი უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დამნაშავედ ცნო და მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური.

„იბერიის" ლენტიდან

ცხინვალი. ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ნიხასის თავმჯდომარეს ლ. ჩიბიროვს მისი მოადგილე ალამაზ კაბისოვი ბრალს სდებს იმაში, რომ ხელმოწერილია ერთობლივი ქართულ-ოსური განცხადება. თუ სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა არ შეცვლის პოლიტიკურ კურსს, ალამაზ კაბისოვი იხსნის პასუხისმგებლობას მოსალოდნელი მძიმე პოლიტიკური შედეგებისაგან.

ბორჯომი. ბორჯომის რაიონის ხელმძღვანელობის ინიციატივით, რაიონის მოსახლეობა უფასოდ შეაგროვებს 150.000 ნახევარლიტრიან ბოთლს მინერალური წყლის „ბორჯომის" ჩამოსასხმელად. „ბორჯომი" გაიგზავნება მოსკოვში 50 მლნ. რუსული მანეთის ღირებულების პურის საცხობი ხაზის ბარტერზე გასაცვლელად.

პურის საცხობი ხაზის შეცვლა აუცილებელი შეიქმნა, რადგან ამჟამად 4 სექციიდან მხოლოდ 2 მუშაობს.

ბორჯომის რაიონის მაღალმთიან სოფელ ტაბაწყურში კოლმეურნეობის კუთვნილი 280 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი მოსახლეობამ დაიტაცა. აგრეთვე, დაანგრიეს ფერმა, სადაც 1000 სულზე მეტი პირუტყვი იზამთრებდა. არის საშიშროება, რომ მსგავსი ხასიათის ფაქტები განმეორდეს სხვა სოფლებშიც.

თბილისი. გასული დღე-ღამის განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია სისხლის სამართლის 9 დანაშაული. აქედან გახსნილია 6. მოხდა 8 მკვლელობა, გახსნილია — 1, სხეულის დაზიანების 2 ფაქტი, 1 ავტოსაგზაო შემთხვევა.

თბილისი. 30 აგვისტოს, ისნის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ბაზრობაზე მოხდა შეტაკება გამყიდველსა და მყიდველებს შორის. სროლის შედეგად, დაიღუპა ერთი მშვიდობიანი მოქალაქე და დაიჭრა ოთხი, მათ შორის, ამავე ბაზრობის დაცვის წევრები. დამნაშავენი მიიმალნენ. მიმდინარეობს გამოძიება.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის შსს-ს პრესცენტრიდან გვაცნობებს: 30 აგვისტოს 02 საათზე, ყვარლის რაიონის შსს უბნის ინსპექტორებმა, სოფელ ქიკაანისა და სოფელ ოქტომბრის მონაკვეთში, შემოწმების მიზნით გააჩერეს ავტომანქანა. 5-მა დაუდგენელმა პირმა ავტომანქანიდან პოლიციის მუშაკებს ესროლეს ხელყუმბარა, რის შედეგადაც 2-მა მათგანმა მიიღო სხეულის დაზიანება. ბოროტმოქმედებმა მიატოვეს მანქანა და მიიმალნენ.

ღვაწლი

თეატრი მისი ცხოვრებაა

სიმსუბუქე და აზარტულობა, რომელიც ოთარ ზაუტაშვილს დღეს ახასიათებს და, ამავე დროს სისხლსავსედ განვლილი გზა და თავშეწირვა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, ყველას როდი აქვს განცდილ-გადატანილი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ოთარი მრავალმხრივი მოღვაწეა — მსახიობი, რეჟისორი, თეატრის საქმიანობის ორგანიზატორი. ყველა ამ სფეროში მისი ღვაწლი ფასდაუდებელია და დღეს, როცა მრგვალმა თარიღმა ოთარ ზაუტაშვილის ცხოვრების კარზეც მოაკაკუნა, აღმოჩნდა, რომ მასაც თავისი კვალი გაუვლია რუსთაველის თეატრის ცხოვრებაში, რომლის ერთგულ მსახურად დღემდე რჩება.

ოთარ ზაუტაშვილს არჩევანი არ ჰქონდა — თავიდანვე იცოდა, რომ ხელოვნებაში უნდა ყოფილიყო; კერძოდ, მიზანდასახულად რუსთაველის თეატრში, რომელიც მისი ბავშვობის საოცნებო სამყარო იყო. ავლაბარში, თბილისის ამ კოლორიტულ უბანში, მამისეულ სახლში, სადაც პურ-მარილი არასოდეს არ ილეოდა, ხშირად იყრიდნენ თავს ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწეები აკაკი ხორავას თავკაცობით. მათ მიმართ ოთარს დღემდე გამოჰყვა გაუნელებელი სიყვარული და გახსენებისას მისთვის ნიშანდობლივი იუმორით, არაჩვეულებრივი იმიტაციით ხიბლავს მსმენელს და სახიერად აცოცხლებს გარდასულ დღეებს.

ოთარ ზაუტაშვილს იმთავითვე დაჰყვა ბედი ნიჭიერ ადამიანებთან ახლო ურთიერთობისა. თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც ის სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობდა, მსახიობის ოსტატობაში წვრთნიდნენ: დოდო ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი, ლილი იოსელიანი; რეჟისურაში — აკაკი დვალიშვილი. განსაკუთრებული სიყვარული და სიახლოვე აკავშირებდა დოდო ალექსიძესთან — ოთარის ბუნებრივი ტემპერამენტი ესადაგებოდა ამ ოსტატის ხასიათს. სწავლის პროცესში ყველა ერთხმად აღნიშნავდა მის აქტიორულ მონაცემებს და სტუდენტურ სპექტაკლთა უმრავლესობაში იყო კიდეც დაკავებული. მიუხედავად ამისა, მან მაინც გადაუხადა ხარკი თავის პროფესიას — ცხინვალის ქართულ თეატრში განახორციელა სადიპლომო ნამუშევარი მიხეილ ჯაფარიძის „ჩვენებურები".

ორმოცდაათიანი წლების მიწურულიდან ოთარ ზაუტაშვილი ნიადაგ მონაწილეობს რუსთაველის თეატრის სპექტაკლებში როგორც მსახიობი. სრულიად უმნიშვნელო როლიც კი, თუნდაც უსიტყვო, მისი შესრულებით, უმეტესად გამოკვეთილ სახედ იქცეოდა ხოლმე. ამას მსახიობი აღწევდა სახიერი დეტალის მიკვლევით, ორგანული პლასტიკით, დამახასიათებელი მეტყველებით და შინაგანი დინამიზმით. ოთარ ზაუტაშვილი ბუნებითაა დაჯილდოებული გადამდები იუმორით. ამის დამადასტურებელია არაერთი ფაქტი, როდესაც გამოჩენილი კომიკოსების გვერდით მის მიერ შექმნილი სახეები არათუ იჩრდილებიან, არამედ საკუთარ აქტიორულ ინდივიდუალურ თვისებებს უფრო მეტად ავლენენ. თეატრის პარალელურად, ეს თვალსაჩინოა კინოფილმებშიც — კადრები ოთარ ზაუტაშვილის მონაწილეობით გამორჩეულია ხოლმე.

ყოველივე ამან ოთარ ზაუტაშვილს მაყურებლის სიყვარული არგუნა. მის მიერ ეკრანიდან წარმოთქმული ბევრი ფრაზა ლამის გახალხურდა.

ოთარ ზაუტაშვილის აქტიორული შესაძლებლობები, მისი პოტენციალი დღესაც ნირშეუცვლელია — ამაზე მეტყველებს ბოლო ნამუშევარი, ანტონ ჩეხოვის „პალატა № 6", სადაც კვლავ მოვიხიბლეთ მსახიობის საოცარი ტემპერამენტით და სცენური მიმზიდველობით.

ოთარ ზაუტაშვილი მოუღლელი მსახურია თეატრისა, იწვის მისი ყოველდღიურობით. აქაც, როგორც სცენაზე, მუდამ შემართული, ტემპერამენტიანი და გულუხვია; ეხება თუ არ ეხება, მან არ იცის გარჩევა — თუ საქმე გასაკეთებელია, ვერ მოისვენებს, სანამ მიზანს არ მიაღწევს. რა უნდა იყოს ისეთი, „ზაუტამ" რომ არ გააკეთოს: „ბოროტი ენები" ამბობენ, მან ერთხელ ტროლეიბუსს მარშრუტიც კი შეუცვალაო. ასე და ამგვარად, ის იმედია თეატრისა.

ღმერთმა ნუ მოუშალოს თეატრს ოთარ ზაუტაშვილი და ოთარ ზაუტაშვილს თეატრი!..

ვაჟა ბრეგაძე.

ლაურეატებმა დიპლომები მიიღეს

როგორც საქინფორმმა მკითხველებს უკვე აუწყა, ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის დაწესებული ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია მიენიჭათ გამოჩენილ მწერლებს — პოეტ შოთა ნიშნიანიძეს, პოეტ გიორგი გიგაურს, პროზაიკოსს მერაბ ელიოზიშვილს, ლიტერატურისმცოდნე ლევან ბრეგაძეს და მთარგმნელ გურამ გოგიაშვილს.

ამ დღეებში ქართველ მწერალთა დიდი ჯგუფი იწვია დუშეთის რაიონის სოფლებს ჩარგალსა და მაღაროსკარს, სადაც ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის პირველ ლაურეატებს დიპლომები გადაეცათ.

ლაურეატებს ეს მაღალი ლიტერატურული პრემია გულითადად მიულოცეს ხუტა ბერულავამ, პროფესორებმა ალექსანდრე ღლონტმა, დავით გოგოჭურმა, თამაზ წერეთელმა, ივანე ქართველიშვილმა, გიგი ხორნაულმა, აკაკი გასვიანმა, სულხან ჭეთელაურმა, ვახტანგ გურგენიძემ, ოთარ შალამბერიძემ, დილარ ივარდავამ, რევაზ დანელიამ, გივი სომხიშვილმა, ილია ბარამიძემ, მურმან ხუნწარიამ, ბონდო ალავიძემ, და სხვებმა.

ქართველი მეცნიერის დიდი აღიარება

ქართველი მეცნიერი, **ზაზა ავთანდილის ძე ხუჯუა,** რომელიც მოსკოვში რუსეთის ფედერაციის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კარდიოლოგიის სამეცნიერო ცენტრის წამყვან მეცნიერ თანამშრომლად მუშაობს, 1994 წლის მაისში აირჩიეს ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

ესტრადა



არაერთხელ მონიჭებული სიხარული

ქართული ესტრადის ამბიონზე ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ გამოჩნდა ყველასათვის საყვარელი და პოპულარული ანსამბლი „ორერა", რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული საესტრადო ხელოვნების განვითარებაში. საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო ამ ანსამბლმა თავისი არსებობის მანძილზე. „ორერამ" შექმნა არაერთი შესანიშნავი სიმღერა, რომელიც დღესაც ამშვენებს ქართულ ესტრადას.

ალბათ მიაქციევდით ყურადღებას საკონცერტო აფიშას, რომლის სათაურშივე „ცოცხლები ვართ ცოცხლები", ნათლად იყო გაცხადებული სევდა, ტკივილი, მონატრება. ანსამბლმა, რომელმაც მსოფლიოს სამოცდაათზე მეტ ქვეყანაში ჩაიტანა ქართული საესტრადო ფოლკლორ-ინსტრუმენტული ანსამბლის ხიბლი, აალაპარაკა პრესა.

საღამოზე, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სხვადასხვა თაობის მაყურებელს მოეყარა თავი. საღამოს უძღვებოდა ჟურნალისტი ზურაბ გოშაძე. ანსამბლს მიესალმნენ ედუარდ სეფაშვილის კვინტეტი „რეტრო", მომღერლები თემურ წიკლაური, ნუგზარ კვაშალი, მერაბ სეფაშვილი, ლელა სიხარულიძე, ანსამბლები „ოთხი გია" და „ხმები" ირმა აროშვილის ხელმძღვანელობით, მწერალი და დრამატურგი ნოდარ ხუნწარია თავისი ენამახვილური ექსპრომტით, კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, მერაბ დონაძე, რომლებმაც მოკრძალებული მუსიკალური ნობათი უძღვნეს ანსამბლის წევრებს. საღამოზე გულთბილად მოიგონეს ანსამბლ „ორერას" წევრები, აწ განსვენებული ზურაბ იაშვილი, თამაზ ფანჩვიძე (ანსამბლის პირველი თაობის მომღერლები), ალექსანდრე მანჯგალაძე და ბატონი გიორგი ცაბაძე, კაცი, რომელმაც ჩამოაყალიბა ანსამბლის მხატვრული სახე, გზა დაულოცა შემოქმედებითი ამაღლობისაკენ.

ანსამბლმა „ორერამ" სახეცვლილება რამდენიმეჯერ განიცადა. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მომღერლები რობერტ ბარძიმაშვილი, ნანი ბრეგვაძე, ვახტანგ კიკაბიძე, ვალერი ლომსაძე,

დღეს ანსამბლში ოთხი წევრია: გენო ნადირაშვილი, თემურ დავითაია, ვახტანგ კუცია, სოსო ქვანია. მათ რეპერტუარში შევიდა როგორც ძველი, ასევე ახალი საესტრადო სიმღერები. აზრის გაზიარება ვთხოვეთ ანსამბლ „მეტეხის" ხელმძღვანელს, წარსულში „ორერას" მოცეკვავეს, ბატონ გელოდი ფოცხიშვილს:

„მინდა გითხრათ, რომ არ ველოდი ასეთ საღამოს. დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ამ საღამოს მომწყობთ. „ორერამ" არ დაკარგა ჩვეული პროფესიონალიზმი და ის მელოდიური თავისებურებანი, რაც მათ ჰქონდათ. მომავალში ვუსურვებ ყოფილიყვნენ მანამდე, სანამ არ მოსწყინდება საქართველოს მათი სიმღერა".

ამ საღამომ ჩვენც სასიამოვნო გრძნობა მოგვგვარა. გაგვახსენა მათგან მონიჭებული არაერთი მშვენიერი წუთი. ვუსურვოთ „ორერას" უსაზღვრო შემოქმედებითი ენერგია. გვჯერა, რომ მათი შემდგომი გზა ქართული ესტრადის ღირსებას და სახელს კვლავაც გაამდიდრებს.

დავით სოლომნიშვილი.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო თბილისში

აცხადებს, რომ

სამშაბათიდან, 1994 წლის 6 სექტემბრიდან საკონსულო განყოფილება აწესებს გადასახდელს არასაიმიგრაციო ვიზების მისაღებად. სავიზო მომსახურებისთვის ორი სახის გადასახდელი არსებობს: ვიზის მისაღებად შემოტანილი განცხადების განხილვისათვის და ვიზის გაცემისათვის.

არასაიმიგრაციო ვიზის მისაღებად თითოეული განცხადების განხილვისათვის დაწესებულია გადასახდელი 20 ამერიკული დოლარის ოდენობით. ამ გადასახდელის შეტანა ხდება საკონსულოს მოლარესთან, საკონსულოს ოფიცრის მიერ განცხადების განხილვამდე. განცხადების წარმდგენ პირს უნდა ჰქონდეს გადასახდელის ზუსტი თანხა. თუკი აშშ-ის საიმიგრაციო კანონის თანახმად, განმცხადებელს უარი ეთქმევა ვიზის გაცემაზე, აღნიშნული თანხა განმცხადებელს აღარ უბრუნდება. ვიზის მისაღებად განცხადების განსახილველი გადასახდელი დაწესებულია აშშ-ის კონგრესის მიერ და მთელს მსოფლიოშია შემოღებული. შემოსული შემოსავალი გამოყენებული იქნება ვიზების გაცემის ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად აშშ-ის ყველა საკონსულოში. ოცი დოლარის ოდენობის გადასახდელი მიახლოებით ასახავს აშშ-ის მთავრობის ხარჯებს თითოეული განცხადების განხილვისათვის.

მას შემდეგ რაც განცხადება, განხილული იქნება, პირები, რომლებსაც მიეცემათ გარკვეული სახეობის ვიზა, გადაიხდიან ოცდაათ ამერიკულ დოლარს ერთჯერადი ვიზისთვის ან ოთხმოცდაათ დოლარს მრავალჯერადი ვიზისთვის. ტრანზიტული ვიზის ღირებულება იქნება თხუთმეტი ამერიკული დოლარი. ვიზის ტიპი განისაზღვრება ამერიკის აშშ-ის საიმიგრაციო კანონის მიერ და ძირითადად ემყარება პიროვნების აშშ-ში ვიზიტის მიზანს. გადასახდელი ვიზებზე დაწესებულია ტურისტული ან საქმიანი მიზნით მგზავრობისათვის, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებისათვის და იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ უფლება დროებით სამუშაოდ გაემგზავრონ შტატებში. გადასახდელის ოდენობა შეეფარდება იმ გადასახდელს, რომელსაც იხდიან ამერიკის მოქალაქეები საქართველოს ვიზის მისაღებად.

ვიზები სტუდენტებისა და გაცვლითი პროგრამების მონაწილეებისათვის კვლავაც უფასო დარჩება.

ვიზების უმრავლესი კატეგორიებისათვის, პირებს, რომლებიც მიიღებენ ვიზებს, თვითონ შეუძლიათ გადაწყვიტონ ერთჯერადი თუ მრავალჯერადი ვიზა სჭირდებათ. პირებს, რომლებიც არ იქნებიან დარწმუნებული დასჭირდებათ თუ არა გადასახდელის გადახდა, შეუძლიათ პირადად მოვიდნენ საელჩოში კონსულტაციისათვის 15 სთ-დან 16 საათამდე ან დღერეკონ 16-დან 18 საათამდე. ყველა გადასახდელის შეტანა ხდება ამერიკულ დოლარებში და განცხადების წარმდგენმა პირებმა უნდა იქონიონ ზუსტი თანხა.

წიგნის თარო

რა გვქვია ჩვენ?

ქართველ მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაშრომი

ჩვენ, ქართველებს და საქართველოს, ძველად და დღესაც, არაერთი ტერმინით გვიცნობდნენ და გვიცნობენ ახლაც. ცხადია, ეს გარემოება შემთხვევითი არ არის. იგი განპირობებულია სხვადასხვა მიზეზით. უპირველეს ყოვლისა, ეს აიხსნება ტომთა სიმრავლით, რომელნიც ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგად გაერთიანდნენ და ქართველ ერად ჩამოყალიბდნენ, შექმნეს ქართული კულტურა. მეორე მხრივ, იმ გარემოებამაც იმოქმედა, რომ უცხოელები საქართველოსა და ქართველების აღსანიშნავად, ამა თუ იმ მიზეზით, სხვადასხვა ტერმინს ხმარობდნენ. ამიტომაც დღეს მსოფლიოში ჩვენი ქვეყანა რამდენიმე სახელწოდებით არის ცნობილი: გურჯისტან, ვრასტან, გეორგია, გრუზია. თუმცა, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური მაგალითები, ე. ი. ისეთი შემთხვევები, როცა ერისა და ქვეყნის თვითსახელწოდებისაგან მკვეთრად განსხვავდება მსოფლიოში დამკვიდრებული სახელი, არაერთი გვაქვს. მაგალითად, იმ დროს, როცა გერმანელები თავის თავს „დოიჩე"-ს, ხოლო ქვეყანას „დოიჩლანდ"-ს უწოდებენ, ფრანგები მათ „ლეზ ალმან"-ს და „ალმან"-ს, ესპანელები კი „ალემანე"-ს და „ალემანია"-ს უწოდებენ, ხოლო ინგლისელები — „ჯერმან"-სა და „ჯერმანი"-ს, რუსები — „ნემცი"-ს და „გერმანია"-ს ამბობენ. სხვა მაგალითი: სომხები თავის თავს „ჰაე"-ს, ქვეყანას „ჰაიასტან"-ს უწოდებენ, ქართველები „სომხებსა" და „სომხეთ"-ს, გერმანელები „არმენიერ" და „არმენიენ"-ს, რუსები „არმიანე" და „არმენია"-ს. აქ სხვა ანალოგიური მაგალითების მოტანაც შეგვეძლო, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს სავსებით საკმარისია. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ არც ერთი ერი არ მოითხოვს დამკვიდრებული სახელწოდების შეცვლას და მიღებული ტერმინების თვითსახელწოდებასთან იდენტიფიცირებას.

ხალხისა და ქვეყნის აღმნიშვნელი ტერმინების ეტიმოლოგიისა და მნიშვნელობის გაშუქება მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ამ საქმეს, პირველ ყოვლისა, ისტორიკოსები, ეთნოლოგები და ენათმეცნიერები ემსახურებიან. ქართულ მეცნიერებაში ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ მიღწეული საკმარისი მაინც არ იყო, თანაც ცნობილი გახლდათ მხოლოდ სპეციალისტების ვიწრო წრისათვის. ამიტომ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კოლექტიურ ფუნდამენტურ ნაშრომს **„საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია",** რომელიც 1993 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ" 36 თაბახის მოცულობითა და 3000 ტირაჟით გამოაქვეყნა.

ჯერ ერთი, დასაფასებელია ის, რომ ამ ნაშრომში განხილულია ყველა ტერმინი, რომელიც მთელ საქართველოს და აგრეთვე მის რეგიონებს ეხება. მეორე, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არის ის, რომ ადრე მიღებული მოსაზრებების გარდა, პრობლემატიკა ახლებურად არის შესწავლილი და გაშუქებული, გამოტანილია ახალი დასკვნები, გამოთქმულია ახალი მოსაზრებები და დაკვირვებანი.

საკმარისია გადავხედოთ წიგნის არქიტექტონიკას, გავეცნოთ მასში შესული წერილების თემატიკას, რომ ნათელი გახდეს ამ კოლექტიური ნაშრომის მასშტაბურობა, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა.

პრობლემატიკის მრავალმხრივობის დაძლევის სირთულემ და მრავალენოვანი წყაროების გაანალიზება-განზოგადების აუცილებლობამ მოითხოვა როგორც ძველი და ახალი ენების მცოდნე, ისე საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიული რეგიონის სპეციალისტების დიდი რაოდენობით მონაწილეობა. ამიტომ ავტორთა კოლექტივის რიცხვი 38 კაცამდე გაიზარდა. მხოლოდ ამის შედეგად გახდა შესაძლებელი პრობლემის (ე. ი. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგიის) მთლიანობაში განხილვა, მისი მონოგრაფიული გაშუქება.

ავტორთა კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ფრიად საჭირო საქმის დაგვირგვინება შესაშური წარმატებით შეძლეს. შექმნეს ჭეშმარიტად ფუძემდებლური ნაშრომი, რომელსაც საეტაპო მნიშვნელობა ენიჭება.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში შესული ყველა წერილი ერთ დონეზე არ არის შესრულებული. ეს სავსებით ბუნებრივია და სხვადასხვა მიზეზებით არის განპირობებული. მაგრამ ყველა წერილს ერთი რამ საერთო ახასიათებს: მიზანდასახულობა და კონკრეტული პასუხები ყველა დასმულ კითხვაზე. კარგია, რომ წერილებს თან ერთვის რუსული და ინგლისური რეზიუმეები.

სავსებით ბუნებრივია, რომ ურთულესი საკითხების გაშუქებისას ზოგი რამ საკამათო რჩება, ზოგი რამ შემდგომ შესწავლასა და დაზუსტებას მოითხოვს, რაც ალბათ, მომავალში გაკეთდება კიდეც.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს წიგნის რედაქტორისა და ერთ-ერთი ავტორის გიორგი პაიჭაძის დამსახურება, ვისი იდეითა და აქტიური მონაწილეობითაც შეიქმნა და კიდევაც დაისტამბა ეს ღირსშესანიშნავი ნაშრომი.

აკადემიკოსი
მალხაზ აბდუშელიშვილი,
აკადემიკოსი
ოთარ ჯაფარიძე,

აქტუალური ინტერვიუ

„ფრთხილად... ხორცია!"

ზაფხულის ამ ცხელ დღეებში რესპუბლიკის დედაქალაქი ხშირად მოგვაგონებს სტიქიურ ბაზარს, სადაც ყველას შეუძლია და ცდილობს კიდეც გაყიდოს ყველაფერი, რაც მოეპრიანება, და ხშირად ფრიად საეჭვო ხარისხისა, მათ შორის კვების პროდუქტებიც. ყოველ შემთხვევაში, ამაში რწმუნდები, როცა ეცნობი საკოლმეურნეო ბაზრებსა და მათს მიმდებარე ტერიტორიებზე სანიტარიული მდგომარეობის შემოწმების მასალებს.

— გამოვლინდა უამრავი ფაქტი, როცა დახლებზე, ხშირად კი პირდაპირ ტროტუარებზე იყიდება ვეტერინარული სამსახურების მიერ შეუმოწმებელი ხორცეული და თევზეული, კარაქი, სოკო, ბოსტნეული, ხილი, სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტები,— გვითხრა რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილემ როლანდ მულაძემ.— და ეს ხდება იმ დროს, როცა მთავარი სახელმწიფო ვეტინსპექტორის ბრძანებით ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებში აკრძალულია ყველა სახეობის თევზეულის გაყიდვა, ხოლო შესაბამისი კანონმდებლობითა და სანიტარიული სამსახურების მიერ საერთოდ დაუშვებლად არის მიჩნეული კუპატის და აფხაზურის რეალიზაცია. ამასთანავე, სპეციალისტებთან ერთად განხორციელებულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ნავთლუღის ბაზარში შემოტანილი ხორცის პროდუქტების ნაწილი დასნებოვნებული იყო. ამავე დროს, არც თავად გამყიდველებს და არც მათ გვერდით მდგომთ არ ჰქონდათ ხორცის ხარისხიანობის დამადასტურებელი მოწმობები. ხოლო სხვა შემთხვევაში, უშუალოდ ამ ბაზრის დირექციის შენობის წინ, კიდევ ერთი მეწვრილმანე მყიდველთ სთავაზობდა და წარმატებით ასაღებდა შეუმოწმებელ ჰარხალს.გახურებულ ვაჭრობას ხელი შეუშალა კონტროლის პალატის მუშაკების მიერ ჩატარებულმა ლაბორატორიულმა ანალიზმა, რომლის შედეგად აღინიშნა ჰარხალში ნიტრატების ნარჩენების დონე, რომელიც ხუთჯერ აღემატება მიღებულ ნორმატივებს,

და კიდევ რამდენიმე ფაქტი. წელს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ს. ვირსალაძის სახელობის პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკურ განყოფილებაში უკვე გაიარა რეგისტრაცია ბრუცელოზით დაავადებულმა 137 კაცმა, ხოლო 153 მოქალაქეს აღენიშნა ტრიქინელოზით დაავადება. ორივე ეს ავადმყოფობა საკმაოდ საშიშია და საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს.

ზურაბ ბრძელიშვილი,
საქინფორმის კორ.

ქოლერა ჯერ არ არის, მაგრამ საფრთხე დიდია

დაღესტანში ქოლერის ეპიდემია მძვინვარებს. ქოლერის დაავადების ცალკეული შემთხვევები აღინიშნა სხვა მეზობელ რესპუბლიკებშიც. ამ ბოლო დროს გავრცელდა ხმები, დაავადებამ საქართველოშიც შემოაღწია, — რასაც სასმელი წყლით მოწამვლის შემთხვევები მოჰყვაო. ამის თაობაზე ვესაუბრეთ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ჰიგიენის, ეპიდემიოლოგიისა და პროფილაქტიკის სამმართველოს უფროსს, რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმს ნიკო შავდიას და მის მოადგილეს მადონა ჯორბენაძეს.

— საქართველოში დღეისათვის ადამიანთა ქოლერით დაავადების არც ერთი შემთხვევა არ არის რეგისტრირებული, მაგრამ რესპუბლიკის საზღვრებს გარედან შემოტანის შემთხვევაში მის გავრცელებას ჩვენში ნოყიერი ნიადაგი აქვს. აქ ყველა პირობაა შექმნილი არა მხოლოდ ქოლერის, ნაწლავთა სხვა მწვავე ინფექციების აღმოცენებისა და გავრცელებისათვის.

მოსახლეობას, უმეტეს შემთხვევაში მიეწოდება სასმელი წყალი, რომელიც სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, რადგან არ ხდება ქლორირება (ელექტროენერგიისა და თხევადი ქლორის დეფიციტის გამო). ამიტომ სანიტარიული სამსახური რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში მცხოვრებ მოქალაქეებს აფრთხილებს სასმელად მიიღონ გადადუღებული წყალი. ეს არ შეეხება ქალაქ თბილისის წყალმომარაგებას, რადგან საკითხი, დღესდღეობით, მოგვარებულია და სასმელი წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლები ზემოხსენებულ სტანდარტის მოთხოვნებს შეესაბამება.

თუმცა არის შემთხვევები, როცა სასმელი წყლისა და საკანალიზაციო ქსელის თანხვედრილი დაზიანებებისას ხდება სასმელი წყლის ბაქტერიოლოგიური დაბინძურება, რაც იწვევს ნაწლავთა მწვავე ინფექციების აღმოცენებას. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონის ერთ-ერთ მიკრორაიონში, აღირიცხა დიზენტერიის ეპიდემიის აფეთქება 60-მდე დაზარალებულით.

მოუგვარებელია დასახლებული ადგილების, ქუჩების, ეზოების დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეგულარული გატანა და უტილიზაცია. სწორედ ამის შედეგია მღრღნელებისა და მავნე მწერების მომრავლება, რაც მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

დღევანდელი ცხოვრების სიდუხჭირემ თავისი კვალი დაატყო მოსახლეობის საიმედო პროდუქტებით უზრუნველყოფას. ქალაქის ყველა კუთხეში, განსაკუთრებით საკოლმეურნეო ბაზრების მიმდებარე ტერიტორიებზე, მეტროს სადგურებთან და სხვა მასობრივი თავშეყრის ადგილებში კვების პროდუქტებით ვაჭრობაა გაჩაღებული. იყიდება ყოველგვარი ჰიგიენური ნორმებისა და შენახვის წესების დაუცველად, შეუფუთავად, შეუმოწმებლად, რაც მოსახლეობის კვებითი მოწამვლის საფრთხეს ქმნის, ამას ისიც ამძიმებს, რომ მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ, დაღესტანში, დღეისათვის აღრიცხულია ქოლერით დაავადების 700-მდე შემთხვევა 30-ზე მეტი გარდაცვლილით.

ჯანდაცვის სამინისტროს სანიტარიულმა სამსახურმა ჯერ კიდევ 15 მაისიდან გააძლიერა გარემოსა და ჩამდინარე ღია წყალსატევებისა და სადენების ინფექციურ სტაციონარში ნაწლავთა აშლილობის დიაგნოზით მოხვედრილი ავადმყოფების გამოკვლევა ქოლერაზე. ჩვენი წარდგინება დაედო საფუძვლად მინისტრთა კაბინეტის განკარგულებას, რამაც ხელი შეუწყო ქოლერის საწინააღმდეგო ოპერატიულ ღონისძიებათა გეგმის განხორციელებას.

როგორც ვიცით, ყვარლისა და ლაგოდეხის ტერიტორიები უშუალოდ ემიჯნება დაღესტნის რესპუბლიკას, რის გამოც ჯანდაცვის სამინისტროს მითითებით საზღვარზე გაძლიერებულია კონტროლი. ხდება საზღვარზე გადმოსულ პირთა გამოკვლევა და მათზე შემდგომი სამედიცინო მეთვალყურეობაა დაწესებული.

ოდითგანვე ქოლერას უწოდებენ „ბინძური ხელების" დაავადებას, ამიტომ ამ უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით მოსახლეობას ვურჩევთ არ მიიღონ გაურეცხავი ხილი და ბოსტნეული, დაიცვან პირადი ჰიგიენის წესები.

გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და მივმართოთ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს, ქოლერის ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად შესაძლებლობის ფარგლებში მიიღონ ქმედითი ზომები. უნდა გვახსოვდეს პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება ეკონომიკურად ბევრად უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ეპიდემიასთან ბრძოლა.

მივმართავთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ჟურნალისტებს, ითანამშრომლონ ჩვენთან, ნუ გამოიჩენენ პირად ინიციატივას და საეჭვო წყაროებიდან მიღებულ მასალებს დაუზუსტებლად ნუ გამოაქვეყნებენ (ვგულისხმობთ 26 აგვისტოს გაზეთ „რეზონანსში" დაბეჭდილ მასალას), რათა თავიდან ავიცილოთ მოსახლეობის დეზინფორმაცია და სხვა გაუგებრობები.

ჩაიწერა
იზა ჯაჭვაძემ.

თბილისის უნივერსიტეტი „გეორგია"

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994-95 სასწ. წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა
- 60 აშშ დოლარი.
2. ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია
- 60 აშშ დოლარი.
3. დაწყებითი განათლება - 60 აშშ დოლარი.
4. უცხოური ენები: ა) ინგლისური, ბ) გერმანული, გ) თურქული - 80 აშშ დოლარი, დ) ინგლისურ-თურქული, ე) გერმანულ-თურქული - 100 აშშ დოლარი.
5. მშენებლობა განსაკუთრებულ პირობებში - სპეციალობებით: ა) სეისმომედეგი მშენებლობა, ბ) სპეციალური დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობა და არქიტექტურა - 80 აშშ დოლარი.
6. ფინანსები და კრედიტები ხუთი სპეციალიზაციით: ა) ფინანსები, ბ) კრედიტები, გ) მრეწველობის ფინანსები, დ) სადაზღვევო და საბანკო საქმე, ე) სახელმწიფო შემოსავლები (გადასახადები) - 60 აშშ დოლარი.

ზემოთ აღნიშნულ სპეციალობებზე სწავლა იწარმოებს დღისა და დაუსწრებელ ფაკულტეტებზე.

უნივერსიტეტში ჩარიცხვა მოხდება სპეციალურ საგნებში გასაუბრებით (50-ბალიანი სისტემით).

თბილისის უნივერსიტეტი „გეორგია" დაარსდა თბილისში 1991 წელს. უნივერსიტეტს სახელმწიფოს მიერ მინიჭებული აქვს უმაღლესი განათლების დიპლომის გაცემის უფლება (ლიცენზია).

უნივერსიტეტს კავშირი აქვს დასავლეთ ევროპის მოწინავე სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებთან და სპეციალისტებთან.

უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე უმაღლესი განათლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უზრუნველყოფილია ყველა სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო დოკუმენტაციით.

სწავლის გადასახადი განისაზღვრება ა. შ. შ. დოლარის შესაბამისი კურსით. საბუთები მიიღება 10 სექტემბრამდე, ყოველდღე (გარდა კვირისა), 10 საათიდან 16 საათამდე.

განცხადებას რექტორის სახელზე უნდა დაერთოს: საშუალო ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის ატესტატი (დედანი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 086), 6 ფოტოსურათი, პასპორტს და სამხედრო ბილეთს წარმოადგენთ პირადად.

ცნობებისათვის მიმართეთ:
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 61,
151-ე საშუალო სკოლა (მეტრო დელისთან).
ტელეფონი: 31-58-11 ან 96-42-57.

სპეციალური სამსახური
„008"
იღებს სამუშაოდ მძღოლებს
საკუთარი მანქანებით.
ც. დადიანის 26 III სართული
ტელ: 66-57-86; 66-17-31; 66-17-86.

ეძიდება პოლონური კაბინეტის როიალი
„მალეცკი".
დარეკეთ: 51-09-07

საქართველოს რესპუბლიკის კულტ-ის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება მწერალ სოსო კაიშაძის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434